პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 3 ოქტომბერი, 1944 წ. № 200 (7153). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

საქართველოს მედიცინის მუშაკების წერილი ამხანაგ სტალინს და ამხანაგ სტალინის პასუხები (1-ლი გვერდი).
უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო წელი დაიწყო. „პრავდის“ 2 ოქტომბრის მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 1 და 2 ოქტომბრის ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი).
მიმართვა სარატოვის ოლქის ვოსკრესენსკოეს რაიონის კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებისა (მე-2 გვერდი).
მუშათა კლასის ახალი შევსების გაწვევის წინ. „პრავდის“ 1 ოქტომბრის მოწინავე (მე-2 გვერდი).
ე. კალანდაძე. მძლავრი შრომითი რეზერვები (მე-2 გვერდი).
ნ. ილოშვილი. არტილერისტები (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება ... (მე-3 გვერდი).
პროფესორი ე. კაკაბაძე. წარმოების ნარჩენების გამოყენების საკითხისათვის (მე-3 გვერდი).
პოლონეთი აღორძინების გზაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

## უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო წელი დაიწყო

დღეს, 2 ოქტომბერს, ჩვენი უმაღლესი სკოლა ფართოდ, სტუმართმოყვარეობით გაუღებს კარს და გულთბილად შეეგებება თავის მოსწავლეებს. 454 ათასი სტუდენტი, მათ შორის 174 ათასი ახალმიღებული, შეუდგება სწავლას. აუდიტორიები გაივსება ხალისიანი ახალგაზრდობით. კვლავ წიგნი ხელში!

უფსკრულის პირას მისულ ჰიტლერულ გერმანიაში ამჟამად დახურულია ყველა უმაღლესი სასწავლებელი. საბჭოთა ქვეყანაში კი უმაღლესი სასწავლებლები მნიშვნელოვნად აფართოებენ თავიანთ საქმიანობას. ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის მანძილზე ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენილ იქნა 128 უმაღლესი სასწავლებელი. ახლად გაიხსნა 52 უმაღლესი სასწავლებელი, უმთავრესად საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში. გაძლიერდა ახალგაზრდობის მისწრაფება უმაღლესი სკოლისაკენ. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში გაცილებით მეტი განცხადებაა შეტანილი სწავლის მსურველთაგან, ვიდრე ვაკანსიები იყო. პარტია და მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ მეცნიერებისათვის, უმაღლესი სკოლისათვის, სტუდენტთა და მასწავლებელთა მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ახალ სასწავლო წელს იწყებენ წარსული წლის გა-[illegible]

[illegible] დამოუკიდებლად ბეჯითად და შეუპოვრად. ხომ კარგად არის ცნობილი, რომ სრულფასოვან, მტკიცე ცოდნას მხოლოდ ის მოსწავლეები იძენენ, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ, ამასთან მარჯვედ იყენებენ სასწავლო მასალას, ლიტერატურას.

აქ ფრიად დიდია პროფესორთა და მასწავლებელთა როლი, რომელთაც შეუძლიათ და კიდევაც უნდა განუვითარონ სტუდენტებს ცოდნისმოყვარეობა და შემოქმედებითი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ლექციებში აღინიშნოს უახლესი მიღწევები, რუსული მეცნიერების როლი, დიდი სამამულო ომის გამოცდილება, საჭიროა დავაყენოთ სტუდენტების წინაშე დამოუკიდებლად მოსაფიქრებელი და გადასაწყვეტი საკითხები. განსაკუთრებით დიდი ზრუნვა უნდა გავწიოთ იმისათვის, რომ დამოუკიდებელი მუშაობა შევაყვაროთ ახალ შევსებას. უფროს სტუდენტებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ ახლებს იმით, რომ გაუზიარონ მათ სწავლაში თავიანთი დაგროვებული გამოცდილება.

ჩვენი უმაღლესი სკოლა მოწოდებულია მოამზადოს არა უბრალოდ სპეციალისტები, არამედ საბჭოთა, ხალხური ინტელიგენციის კადრები, მუშაკთა კადრები სახელმწიფოსათვის, რომელსაც წარმართავენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები. საბჭოთა სტუდენტს არ შეუძლია შემოიფარგლოს თავისი სპეციალობით. იგი საზოგადოებრივი მუშაკი უნდა იყოს, ცხოველ ინტერესს უნდა იჩენდეს თავისი ქვეყნის ბედისადმი, იცნობდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, მარჯვედ იყენებდეს მათ, აქტიურ მონაწილეობას იღებდეს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

საბჭოთა სტუდენტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ღრმად და სიყვარულით შეისწავლონ ლენინისა და სტალინის შრომები, შეითვისონ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. ამიტომ პროფესორებმა და მასწავლებლებმა უნდა აამაღლონ ლექციების თეორიული დონე, მკაფიო შინაარსი მისცენ მათ, გაუცხოველონ ახალგაზრდობას ინტერესი თეორიის, იდეოლოგიის საკითხებისადმი. ამასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიურ ფრონტზე თუნდაც ოდნავ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლას. უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთათვის სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენენ გამოაშკარავებული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რაც დაშვე-[illegible]

[illegible] აქვს მათ შორის დადებითი გამოცდილების გაცვლა-გამოცვლას. საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელთა გამოცდილება მთელი სტუდენტი ახალგაზრდობის კუთვნილება უნდა გახდეს. მოსკოვში წარსულ სასწავლო წელს საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტმა და მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკულმა ინსტიტუტმა.

ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვან უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო ახალი სასწავლო წელი. გმირი წითელი არმიის დიადი გამარჯვებებით აღფრთოვანებული საბჭოთა სტუდენტები მთელი ჭაბუკური გატაცებით შეუდგებიან სწავლას. მათ იციან, რომ სამშობლო მოელის მათ, მოელის იმის აღსადგენად, რაც საზიზღარმა მტერმა დაანგრია, მოელის ახალი მშენებლობისათვის, სსრ კავშირის ყველა ხალხთა ცხოვრების კიდევ უფრო აყვავებისათვის, მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და სიდიადის კიდევ უფრო გადიდებისათვის.

**„პრავდის“ 2 ოქტომბრის მოწინავე.**

## ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 30 სექტემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს. მოკრეფილი ფოთლიდან 53,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა. გეგმის ზევით მოკრეფილია 89 ტონა პირველი ხარისხის ფოთოლი.

ჩაის კრეფა რაიონში წარმატებით გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი **ვ. სანიკიძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მ. ყურშუბაძე**

## დაიწყო შაქრის გამოშვება

საქართველოს მეჭარხლეობის რაიონებში დაიწყეს შაქრის ჭარხლის აღება. ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობები წელს შარშანდელზე გაცილებით მეტ მოსავალს იღებენ.

ორგანიზებულად მიმდინარეობს ჭარხლის ჩაბარება სახელმწიფოსათვის. როგორც აგარის შაქრის ქარხნის დირექტორი ამხ. ხოფერია გვატყობინებს, 29 სექტემბრიდან ქარხანა შეუდგა შაქრის გამოშვებას.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 1 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

1 ოქტომბრის განმავლობაში იუგოსლავიის ტერიტორიაზე რუმინეთის ქალაქ ტურნუ-სევერინის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები კუპუზიშტე, მიხაილოვაცი, დუშანოვაცი, პრახოვო, მილოშევო, ვიდროვაცი, მოკრანია, რეჩკა, გრადსკოვო, ვრაჟოგრნაცი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

30 სექტემბერს საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 46 თვითმფრინავი.

### 2 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

2 ოქტომბრის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

1 ოქტომბერს ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების შედეგად მოსპობილია გერმანელთა 9 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი.

* * *

რიგის მიმართულებით მზვერავები მოქმედებდნენ. ფსკოვ-რიგის გზატკეცილის რაიონში გერმანელთა ქვეითი ჯარი, რომელსაც ტანკები და თვითმავალი ქვემეხები ეხმარებოდნენ, დღის განმავლობაში რამდენჯერმე გადმოვიდა კონტრიერიშზე. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა უკუაგდეს ჰიტლერელები და თავიანთი თავდაცვის წინა კიდემდე არ მოუშვეს ისინი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 100-მდე გვამი. მოსპობილია მოწინააღმდეგის 2 ტანკი და ერთი თვითმავალი ქვემეხი. ქალაქ რიგის აღმოსავლეთით საბჭოთა მზვერავების რაზმები გერმანელთა სანგრების პირველ ხაზში შეიჭრნენ. მალე ჰიტლერელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ და ცდილობდნენ უკან დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები. ჩვენმა მზვერავებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს მოწინააღმდეგე და დაკავებულ სანგრებში გამაგრდნენ.

* * *

ქალაქ იელგავის (მიტავის) რაიონში გერმანელთა ორი ოცეული ცდილობდა ნავებით გადმოსულიყო მდინარე ლიელუპეზე. ჩვენმა მებრძოლებმა დროზე შენიშნეს მტრის ჯარისკაცები და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს მათ. მოწინააღმდეგის სამი ნავი ჯარისკაცებიანად ჩაძირულ იქნა. სხვა ნავებში მყოფი გერმანელები სასწრაფოდ გაბრუნდნენ უკან, ნაპირს მიადგნენ და გაიქცნენ.

* * *

ქალაქ მარიამპოლის ჩრდილო-დასავლეთით ნ შენაერთის სნაიპერებმა დღის განმავლობაში 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. მზვერავთა ჯგუფმა გვარდიის ლეიტენანტ ციკუნოვის მეთაურობით ღამით მტრის ზურგში გასასვლელი გააკეთა და შეუმჩნევლად შეაღწია გერმანელთა განლაგებაში. განთიადისას ჩვენმა მებრძოლებმა ავტომატების ცეცხლით და გრანატებით მოსპეს მოწინააღმდეგის საბრძოლო დაცვა. მზვერავებმა ხელთ იგდეს დოკუმენტები, რომლებიც დახოცილებს უპოვნეს, და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ქალაქ ტურკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ ნაწილის ქვეგანაყოფები, რომლებიც მთის ხეობით მიიწევდნენ წინ, მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტს მიადგნენ. უეცარი იერიშით მთლიანად მოსპობილ იქნა გერმანელთა ამ დასაყრდენი პუნქტის გარნიზონი. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა ქვემეხები და ტყვიამფრქვევები დასდგეს მაღლობებზე და ძლიერ ცეცხლს უშენდნენ თავიანთი პოზიციების ყველა მისადგომს. ჩვენმა მებრძოლებმა მთიან-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში მოწინააღმდეგეს შემოუარეს და ზურგიდან დაარტყეს. გერმანელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან. გაჟლეტილია ორი ასეული ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 4 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 3 ნაღმსატყორცნი და 12 ტყვიამფრქვევი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის თვითმავალი სადესანტო კარჯი და მოტობოტი.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ბალტიის ზღვაში იერიში მიიტანეს გერმანელთა რამდენიმე გემზე. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია მოწინააღმდეგის 5 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი და ერთი ტრალერი.

* * *

რიგის აღმოსავლეთით წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 32-ე ქვეითი დივიზიის მე-4 პოლკის ჯარისკაცთა ჯგუფი. გადმოსულებმა სტეფანე ლ-მ, კარლ ბ-მ და გეორგ მ-მ გვიამბეს: „ამას წინათ ჩვენს პოლკში მოვიდა 50-ე საარმიო კორპუსის მეთაური გენერალი ვეგენერი და ჯარისკაცთა წინაშე სიტყვა წარმოსთქვა. გენერალმა ვეგენერმა სთქვა: „გერმანიის ჯარების მდგომარეობა ბალტიისპირეთში მეტისმეტად მძიმეა. არავის შეუძლია სთქვას, თუ რით გათავდება ყოველივე ეს. ჩვენ შეგვპირდნენ, ახალ იარაღს გამოგიგზავნითო, მაგრამ მე არ ვიცი, რა იარაღია ეს. შესრულებული იქნება თუ არა ეს დაპირება, ამის თქმა არ შემიძლია, რადგან თვითონაც არაფერი ვიცი. ამიტომ თქვენ, ჯარისკაცებო, მზად უნდა იყოთ ყველაზე ცუდი ამბებისათვის“. გენერალი მოღუშული და შეშფოთებული იყო. მისი სიტყვებიდან მივხვდით, რომ ვეგენერი ჩვენს მდგომარეობას უიმედოდ სთვლის.

საღამოს ობერ-ეფრეიტორმა ჰელმუტ რ-მ ჯარისკაცთა პატარა წრეში განაცხადა: „ჩვენ მართლაც გვაქვს საიდუმლო იარაღი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია თავი დავაღწიოთ დაღუპვას“. ყველანი დაჟინებით ცდილობდნენ გაეგოთ ჰელმუტისაგან, თუ რა იარაღი იყო ეს. მან გვიპასუხა: „იშოვნეთ ჩვეულებრივი ჯოხი და თეთრი ცხვირსახოცი. ეს არის სწორედ ის იარაღი, რომელიც სიცოცხლეს შეგვინარჩუნებს“. მეორე დღეს ჩვენ, თექვსმეტი კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა, ჰელმუტის მეთაურობით ჩვენი ნაწილი დავტოვეთ და რუსთა მხარეზე გადმოვედით“.

## პრეს-კონფერენცია პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლობაში მოსკოვში

30 სექტემბერს, მოსკოვს, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლობაში შესდგა პრეს-კონფერენცია. კონფერენციაზე გამოვიდა პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ოსუბკა-მორავსკი. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გენერალ-პოლკოვნიკმა როლია-ჟიმერსკიმ, ბ-ნმა მინცმა, ბ-ნმა ენდრიხოვსკიმ. საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალმა წარმომადგენელმა, რომელნიც პრეს-კონფერენციას დაესწრნენ, ბევრი შეკითხვა მისცა ოსუბკა-მორავსკის პოლონეთის სამხედრო მდგომარეობისა და, კერძოდ, ვარშავის ამბების შესახებ. თავიანთ განცხადებაში ბ-ნმა ოსუბკა-მორავსკიმ და გენერალმა როლია-ჟიმერსკიმ მკვეთრად დაჰგმეს ვარშავაში ნაადრევი გამოსვლის ორგანიზატორთა დანაშაულებრივი მოქმედება. ბ-ნმა ოსუბკა-მორავსკიმ და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის სხვა წარმომადგენლებმა გააშუქეს პოლონეთის განთავისუფლებულ რაიონებში შექმნილი საერთო მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ საჭიროა პოლონეთის მოსახლეობას სწრაფი დახმარება გაეწიოს სურსათით, ტანსაცმლითა და მედიკამენტებით. (საკდესი).

## უკანასკნელი ცნობები

### ლონდონს ჩავიდა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია

**ლონდონი**, 2 ოქტომბერი. (საკდესი). 30 სექტემბერს ლონდონში ჩამოვიდა სსრ კავშირის პროფკავშირთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი.

### გერმანელთა მოქმედება ჩრდილოეთ ფინეთში

**სტოკჰოლმი**, 1 ოქტომბერი. (საკდესი). შვედურ პრესაში ქვეყნდება ფინეთიდან მოსული ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ გერმანელთა ჯარები განაგრძობენ პარპაშს ფინეთის ჩრდილოეთ რაიონებში. მაგალითად, გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ სწერს: „გერმანელები აპირებენ გადამწვავი ზონის [illegible] და იქიდან პეტსამოსაკენ იმ მიზნით, რომ დაიცვან თავიანთი კომუნიკაციები შიბოტნის მახლობლად. ჩრდილოეთ ფინეთის ფრონტზე რეგულარულად მიდიან გერმანელთა მაშველი ძალები. გერმანელთა ბევრი ჯარი სამხრეთ ნორვეგიიდან ტრომსეს რაიონში გადაიყვანეს, რათა იქიდან ჩრდილოეთ ფინეთში გადაზა-[illegible]

### მდგომარეობა ბუდაპეშტში

**სტოკჰოლმი**, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „აფტონბლადეტი“ ბერნიდან იუწყება: „ბუდაპეშტი დაბომბვათა შედეგად ძლიერ დანგრეულია. განსაკუთრებით დაზიანდნენ ქალაქის ცენტრი და აღმოსავლეთი და დასავლეთი რაიონები. ვაგზლები არ მუშაობენ. ქალაქის ნაწილი ვაგზალსა და გარეუბანს შუა მთლად დანგრეულია. გაზსადენები აფეთქებულია. ქალაქი ნანგრევებად არის ქცეული. რამდენიმე მინისტრი მძიმედ არის დაჭრილი. რკინიგზის მოძრაობა დეზორგანიზებულია. უნგრეთის ტრანსპორტისათვის განსაკუთრებით სერიოზულ დარტყმას წარმოადგენს ხიდების მოსპობა დუნაისა და ტისაზე. ხშირდება ნაცისტებისა და პრონაცისტების დახოცვა. მთელ რიგ ქალაქებში მოხდა გაფიცვები, რომლებმაც გამოიწვიეს სისხლისმღვრელი შეტაკებანი მუშებსა და გერმანიის პოლიციას შორის“.

### ჰიტლერელებს ეშინიათ უცხოელი მუშების აჯანყებისა

**სტოკჰოლმი**, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „აფტონბლადეტი“ ციურიხიდან იუწყება:

„ჰიმლერი ამჟამად საინსპექციო მოგზაურობას სწევს გერმანიაში უცხოელი მუშების შესაძლო აჯანყების წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ღონისძიებების მიღებასთან დაკავშირებით. ამ დღეებში იგი ვიტენბერგს ჩავიდა. დაცვა მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებში ერთიორად არის გადიდებული. შექმნილია სს განსაკუთრებული მფრინავი რაზმები, რომელთაც თავიანთ განკარგულებაში ჰყავთ ტანკები“.

### კელნის, კასელისა და ჰამის დაბომბვა

**ლონდონი**, 2 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, „მფრინავი ციხის“ მარკის ამერიკის ბომბდამშენთა მეტად დიდი შენაერთები 2 ოქტომბერს თავს დაესხნენ ობიექტებს კელნისა და კასელის რაიონში (გერმანია).

2 ოქტომბერს დღის მეორე ნახევარში „ლიბერეიტორის“ მარკის ბომბდამშენები თავს დაესხნენ დასავლეთ გერმანიაში ჰამში. სულ 2 ოქტომბერს გერმანიაში ოპერაციებს ეწეოდა ამერიკის 1.200-მდე ბომბდამშენი.

მოსკოვი, კრემლი

## უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს

მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს მედიცინის მუშაკები, თქვენი ისტორიული ბრძანებებით აღფრთოვანებულნი და თქვენი გენიალური წინამძღოლობით წითელი არმიის გმირული გამარჯვებებით აღტაცებულნი, თავდადებული შრომით იცავენ წითელი არმიის მეომართა და ზურგის მშრომელთა ჯანმრთელობას.

სურთ რა დააჩქარონ მთელი პროგრესული კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — გერმანულ ფაშიზმზე საბოლოო გამარჯვების ჟამის დადგომა, საქართველოს სს რესპუბლიკის მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის წევრებმა სამშობლოს თავდაცვის ფონდში საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის „საქართველოს მედმუშაკის“ ასაგებად შეაგროვეს 1.600 ათასი მანეთი ფულად და 400 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები.

დაე საქართველოს სს რესპუბლიკის მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის წევრთა ეს პატრიოტული წვლილი დაეხმაროს ჩვენს სახელოვან სტალინურ შევარდნებს ბოლო მოუღონ გერმანელ მხეცს მისსავე ბუნაგში.

საქართველოს მედიცინის მუშაკები გიძღვნიან თქვენ, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, თავის გულითად სალამს და გისურვებენ მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **სტალინს!**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი **ხელიძე**
საქართველოს სსრ მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **კობალაძე**
საქართველოს სსრ ჯანსახკომის საევაკუაციო ჰოსპიტლების სამმართველოს უფროსი **ბარკალაია**

თბილისი

## საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს ამხ. ხელიძეს
## საქართველოს სსრ მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კობალაძეს
## საქართველოს სსრ ჯანსახკომის საევაკუაციო ჰოსპიტლების სამმართველოს უფროსს ამხ. ბარკალაიას

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს მედიცინის მუშაკებს, რომლებმაც საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის „საქართველოს მედმუშაკის“ ასაგებად შეაგროვეს 1.600 ათასი მანეთი ფულად და 400 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები.

**ი. სტალინი**

თბილისი

## № 1435 საევაკუაციო ჰოსპიტლის უფროსს სამედიცინო სამსახურის კაპიტან ზივზივაძეს
## უფროსის მოადგილეს პოლიტნაწილში კაპიტან მარტიროსოვს
## პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. აბაშიძეს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა № 1435 საევაკუაციო ჰოსპიტლის თანამშრომლებს და იქ სამკურნალოდ მყოფ დაჭრილებს, რომლებმაც საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილია „საქართველოს მედმუშაკის“ ასაგებად შეაგროვეს 11.051 მანეთი ფულად, 27.275 მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები და 33.541 მანეთი გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციები.

**ი. სტალინი**

გურჯაანი

## № 2474 ჰოსპიტლის უფროსს სამედიცინო სამსახურის კაპიტან ზამთარაძეს
## ჰოსპიტლის უფროსის მოადგილეს პოლიტნაწილში მაიორ კოლოსოვს
## პარტორგანიზაციის მდივანს ექიმ შალაშვილს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა № 2474 ჰოსპიტლის პირად შემადგენლობას, რომელმაც საბრძოლო თვითმფრინავების „საქართველოს მედმუშაკის“ ასაგებად შეაგროვა 15.025 მანეთი ფულად, 36.105 მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები და 23.411 მანეთი გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციები.

**ი. სტალინი**

## პოლონური პრესა პრაგის მოსახლეობისადმი საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ

**ლიუბლინი**, 29 სექტემბერი. (საკდესი). პოლონურმა პრესამ ლიუბლინში ფართოდ გამოაქვეყნა ცნობა პრაგის მოსახლეობისადმი საბჭოთა მთავრობის დახმარების შესახებ; საბჭოთა მთავრობამ ქალაქის მოსახლეობის საჭიროებისათვის უსასყიდლოდ გადასცა 10 ათასი ტონა ფქვილი. 1.000 ტონა ფქვილი უკვე მოტანილია ვარშავის გარეუბან პრაგაში. დღეს „რეჩ პოსპოლიტა“ იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ აგრეთვე გადაწყვეტილება მიიღო საჭირო რაოდენობით მიაწოდოს მედიკამენტები პრაგის მოსახლეობას. მედიკამენტების პირველი ტრანსპორტი უკვე მოვიდა პრაგას. როგორც გაზეთი იუწყება, ლიუბლინს ჩამოვიდა წითელი არმიის სანიტარული სამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი სმირნოვი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე დოქტორ მოჟიცკისთან და დოქტორ მლოძიანოვსკისთან ერთად შეუდგა მედიკამენტების განაწილებას.

„საბჭოთა მთავრობის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარება, — სწერს გაზეთი, — პოლონელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კეთილგანწყობილი, მეგობრული დამოკიდებულების კიდევ ერთ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს. პრაგის მთელი მოსახლეობა მადლობელია ჩვენი მოკავშირისა იმ დახმარებისათვის, რასაც იგი გვიწევს პირსისხლიანი ოკუპანტის წინააღმდეგ ვარშავის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძნელ მომენტში“.

„გაზეტა ლიუბელსკა“ ამის გამო სწერს: „უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირი არაერთგზის გვიჩვენებდა თავის უანგარობას პოლონეთთან ურთიერთობაში. გუშინდელ ცნობას მარშალ სტალინის მიერ პრაგის დამშეული, განაწამები მოსახლეობისათვის 10 მილიონი კილოგრამი ფქვილის გადაცემის შესახებ პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონია. ეს იყო ერთი ხალხის გულწრფელი მეგობრობის—ადამიანური მეგობრობის გამოჩენა მეორე მოძმე ხალხისადმი. ეს იყო მაგალითი ჭეშმარიტად უანგარო დახმარებისა, როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ საერთაშორისო ურთიერთობაში. ვარშავის განთავისუფლებული ნაწილის მცხოვრებთათვის გაწეული დახმარება კიდევ უფრო განამტკიცებს იმ ორი სლავი ხალხის კავშირს, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთად დაღვრილი სისხლით“.

### მიტინგი პრაგაში

**ლიუბლინი**, 30 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ პრაგაში (ვარშავის გარეუბანში) შესდგა მიტინგი იმის აღსანიშნავად, რომ საბჭოთა მთავრობამ პრაგის მოსახლეობის დასახმარებლად უსასყიდლოდ გადასცა 10 ათასი ტონა ფქვილი და საჭირო მედიკამენტები.

მიტინგის მონაწილეებმა პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან მყოფ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელს გენერალ-პოლკოვნიკ ბულგანინს გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც გულითად მადლობას უძღვნიან საბჭოთა მთავრობას პრაგის მოსახლეობისადმი გაწეული დახმარებისათვის. შეკრებილებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს აგრეთვე პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშათა კლასის ახალი შევსების გაწვევის წინ

დღეს, 1 ოქტომბერს, მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში დაიწყება ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა (მობილიზაცია) სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში. გაწვევა იწარმოებს ერთ თვეს.

ახლანდელი გაწვევა განსაკუთრებული გაწვევაა. ჯერ ერთი, იგი ფრიად მნიშვნელოვანია თავისი მასშტაბით. სასწავლებლებსა და სკოლებში ერთდროულად უნდა მიღებულ იქნას 350 ათასი კაცი—მთელი არმია, და ამასთან უდიდესი არმია, მომავალი მუშათა კლასისა. ომის დროს ასეთი დიდი გაწვევა პირველად ხდება. მეორე, გაწვევა სწარმოებს სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში, ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან მთელი საბჭოთა მიწა-წყლის სრული განთავისუფლების წინ. სახელმწიფო სასწავლებლებსა და სკოლებში მოამზადებს მტრის მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის, ქალაქებისა და სოფლების მრავალ ათეულ ათას ახალგაზრდა აღმდგენელს.

ახალი გაწვევა ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოგვცეს კადრები, უმთავრესად, სამხედრო და მანქანათმშენებელი ქარხნებისათვის, შავი მეტალურგიისა, მშენებლობისა, ქვანახშირის მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის. ამრიგად, სახელმწიფო პირველ რიგში ამზადებს კადრებს სახალხო მეურნეობის გადამწყვეტი დარგებისათვის, რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება. სოციალისტური სახელმწიფო ჰქმნის თავის შრომით რეზერვებს და ანაწილებს მათ გეგმიანი წესით, სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

ახლანდელ გაწვევასთან დაკავშირებით იქმნება 200-ზე მეტი ახალი სასწავლებელი და სკოლა, უმთავრესად განთავისუფლებული რესპუბლიკების—უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვისა და მოლდავეთის ტერიტორიაზე.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველჰყონ გაწვევის სრული წარმატება. ამასთან საქმე მარტო ახალგაზრდობის მობილიზაციით როდი ამოიწურება. საჭიროა, რომ უკლებლივ ყველა სკოლა და სასწავლებელი მომზადებულ იქნას გაწვეულთა მისაღებად, მათი სწავლებისათვის და ყოფაცხოვრებითი მოწყობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ გაწვევისათვის მომზადების ყველა ვადა უკვე ამოწურულია, ბევრი სასწავლებელი და სკოლა ჯერაც მოუმზადებელია. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მუშახელის აღრიცხვა-განაწილების კომიტეტის უკანასკნელი ცნობების თანახმად, დონბასში, სტალინოს ოლქში, ოთხმოცდაათი სასწავლებლისა და სკოლისაგან გაწვეულთა მისაღებად მხოლოდ ორმოცი არის მზად.

კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეამოწმა გაწვევისადმი მომზადების მიმდინარეობა შეიარაღების, მშენებლობის, შავი მეტალურგიის, საავიაციო, ქვანახშირისა და დაზგათმშენებლობის მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატებში. შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მთელ რიგ ადგილებში, მათ შორის მოსკოვში, დნეპროპეტროვსკში, როსტოვში, ჩელიაბინსკში, უფასა, ჩკალოვსა და ყაზანში არ დამთავრებულა საერთო საცხოვრებელთა და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოთა რემონტი, ყველგან არ არის შერჩეული მასწავლებელთა კადრები. დნეპროპეტროვსკში მშენებელთა № 5 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ნავარაუდევია 500 კაცისათვის, ხოლო საერთო საცხოვრებელი ოცდაათი კაცისათვის აქვთ. ადგილობრივი ორგანიზაციები გაწვეულთა მოსათავსებლად იძლევიან შენობებს, რომლებსაც კაპიტალური აღდგენითი რემონტი ესაჭიროებათ. მაგრამ რემონტისათვის ხომ დროა საჭირო, გაწვევა კი უკვე იწყება!

„სვერდლოვსკუგოლის“ ტრესტის № 4 სახელოსნო სასწავლებელმა უნდა მიიღოს 400 გაწვეული, მაგრამ სასწავლებელს ჯერჯერობით მხოლოდ 150 კაცის მიღება შეუძლია.

ეს ფაქტები იმას მოწმობენ, რომ ზოგიერთი პარტიული და სამეურნეო მუშაკი ჯეროვნად არ აფასებს მუშათა კლასის ახალი კადრების მომზადების მნიშვნელობას. ჩვენში მოიპოვებიან ისეთი სამეურნეო მუშაკები, რომელნიც მუდამ აცხადებენ პრეტენზიას სახელმწიფოსაგან ახალი მუშების მიღებაზე, მაგრამ თვითონ გაურბიან კადრების მომზადებას.

მთავრობის გადაწყვეტილებით გაწვევის ჩატარება დაკისრებული აქვთ მუშახელის აღრიცხვა-განაწილების კომიტეტს და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველჰყონ ამ საქმის წარმატება. ამავე დროს შემჩნეულია საწინააღმდეგო ხასიათის ფაქტები. უდმურტეთსა და კიროვის ოლქში პარტიის საოლქო კომიტეტები არა მარტო თვითონ აქცევენ ნაკლებ ყურადღებას გაწვევის მომზადებას, არამედ ამასთანავე მობილიზაცია უყვეს მუშახელის აღრიცხვა-განაწილების ბიუროების გამგეებს და სხვა სამუშაოზე გაგზავნეს ისინი.

რა უნდა გაკეთდეს ამჟამად? პირველი და უახლოესი ამოცანაა—დამთავრდეს რემონტი, მომზადდეს სადგომები გაწვეულთა მისაღებად. მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, იმ სკოლებსა და სასწავლებლებში, რომლებიც ახალი შევსების მისაღებად მომზადებული არ აღმოჩნდებიან, მოსწავლეები არ გაიგზავნება. ახლა უახლოეს დღეებშივე უნდა დამთავრდეს გაწვევისათვის მთელი მომზადება. განსაკუთრებით სასწრაფო ზომები უნდა მიღებულ იქნას უკრაინაში. ეს სრულიად გადაუდებელი საქმეა.

პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით უნდა უზრუნველჰყონ გაწვევის წარმატებითი ჩატარება, როგორც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანისა.

„პრავდის“ 1 ოქტომბრის მოწინავე.

# მძლავრი შრომითი რეზერვები

ოთხი წლის წინათ ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ“. შეიქმნა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო- [illegible]

ბით, იღებენ კვებას, ტანსაცმელს, თეთრეულსა და ფეხსაცმელს, უზრუნველყოფილი არიან ბინით. საწარმოო სპეციალობის დასაუფლებლად სასწავლებლებთან შექმნილია სათანადო საწარმოო ბაზა.

თავისი არსებობის 4 წლის მანძილზე საქართველოს სარეზერვო სასწავლებლებმა მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი მოამზადეს. 23 ათასზე მეტი ახალგაზრდა ზეინკალი, ხარატი, მნგრეველი, მღარავი, ჩამომსხმელი, მემანქანის თანაშემწე მისცეს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებმა და სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებმა ჩვენს მრეწველობასა და ტრანსპორტს.

განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება და წარმოებისათვის მათი გადაცემა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დღეებში, როცა მრავალი კადრის მუშა გაემგზავრა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად და საჭირო გახდა მათი ახალი კადრით შეცვლა. წასულთა ადგილები მნიშვნელოვანწილად სარეზერვო სასწავლებელთა მოსწავლეებმა დაიჭირეს. ახალგაზრდა მუშები, რომელთაც შეგნებული აქვთ სამხარი ვითარების მოთხოვნა, შეუპოვარი თავდადებით შრომობენ და განუწყვეტლივ აწვდიან ფრონტსა და სამშობლოს საბრძოლო პროდუქციას.

4 წლის მანძილზე საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა მოსწავლეების [illegible]

ლაში (დირექტორი ნიკურაძე), რომელმაც აგრეთვე გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში—პირველი ადგილი დაიკავა რესპუბლიკაში საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს შორის. ამ სკოლას გადაეცა საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცა ფულადი ჯილდო 10 ათასი მანეთი.

გელათისა და აკარმარის საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რომლებიც ქვანახშირის მაღაროთა ბაზებზე არსებობენ, ეხმარებიან მაღაროების კოლექტივებს ქვანახშირის მოპოვებაში. მიმდინარე წელს აღნიშნული სკოლების მოსწავლეებმა 50 ათასი ტონა ქვანახშირი მოანგრიეს.

მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, დღითი დღე უმჯობესდება სასწავლო-საწარმოო სწავლება სარეზერვო სასწავლებლებში. მოსწავლეები თეორიის წარმატებით შეთვისებასთან ერთად ეუფლებიან ახალი სახის პროდუქციის გამოშვებას. თბილისის მე-12 სახელოსნო სასწავლებელში (დირექტორი ბიბილეიშვილი) მოსწავლეთა მიერ ათვი- სების პროცესშია საბურღი დაზგა. ეს დაზგება ათვისების შემდეგ მასობრივად იქნება გამოშვებული მანქანათმშენებელი ქარხნებისათვის. თბილისის მეხუთე სახელოსნო სასწავლებელმა (დირექტორი ნაცვლიშვილი) აითვისა შტანგენცირკულის გამოშვება. სასწავლე- [illegible]

ჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“. თბილისის პირველი რკინიგზის სასწავლებელდამთავრებულნი კ. გვენცაძე, შ. ქემხაძე, ს. პოპოვი, შ. ირემაშვილი, ვ. ბექტაშვილი თავდადებულად შრომობენ ქარხნებში და საწარმოო დავალებებს სამმაგად და ოთხმაგად ასრულებენ.

სახელმწიფო შრომითი რეზერვების არსებობის 4 წელი ემთხვევა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებსა და სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში ახალ გაწვევას. წელს საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს 2.100 ახალგაზრდა უნდა შეემატოს, ხოლო რკინიგზისა და სახელოსნო სასწავლებლებს — 500 ახალგაზრდა. დამატებით უნდა გაიხსნას ორი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა.

ახალ გაწვევას სასწავლებლები და სკოლები ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდნენ. ამისთვის უნდა იზრუნონ პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ახალმა გაწვევამ უნდა მოგვცეს საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშათა ახალი ღირსეული ცვლა.

მ. კალანდაძე

# მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XII სესია

2 ოქტომბერს გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XII სესია.

სესია გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. გოჩაშვილმა. დეპუტატ ი. გელეიშვილის წინადადებით სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი გ. თევზაძე. დეპუტატ ვ. ლელინის წინადადებით მდივნად არჩეულ იქნა დეპუტატი თ. ხავინა.

სესიამ მოისმინა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგის დეპუტატ ე. გალუსტოვის მოხსენება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოთა მუშაობის შესახებ.

ამავე საკითხზე თანამოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის მუდმივად მოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ქართველიშვილმა.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ბერიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჩიტაიშვილმა, ვაკის აგურის ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. გაბაშვილმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ დეპუტატმა რ. კაჭარავამ, დეპუტატმა კ. მორეტიმ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ხუმაროვმა, დეპუტატმა პ. სარქისოვმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების მთავარმა ინჟინერმა ვ. ღრუბელაძემ და მესამე აგურის ქარხნის დირექტორმა გ. კოჩიაშვილმა.

დეპუტატ ე. გალუსტოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ მიიღო დადგენილება განხილული საკითხის გამო.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დეპუტატ გ. გოჩაშვილის წინადადებით სესიამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ლაღიძე და სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან— ამხ. ი. ჯიქიძე, მათი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სესიამ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. ი. გვასალია, სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ — ამხ. კ. ცაგარელი, ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგედ—დეპუტატი ე. გალუსტოვი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრთა შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნა დეპუტატი ნ. ბუჯიაშვილი მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. სესიამ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად აირჩია დეპუტატი კ. მორეტი.

## ყველა კოლმეურნეს, ტრაქტორისტს, კომბაინერს, მემანქანეს, მექანიკოსს, აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ვეტერინარ ექიმს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს

# მიმართვა

## სარატოვის ოლქის ვოსკრესენსკოეს რაიონის კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებისა

ქვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი. ამ დღეს ჩვენ ვეგებებით როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში.

წითელი არმიის გმირული დივიზიები და ჩვენი მოკავშირეების ჯარები ზედ მიადგნენ ფაშისტი მხეცის ბუნაგს. ახლოვდება შურისგების ჟამი. ახლოვდება საძულველ მტერზე ჩვენი სრული და საბოლოო გამარჯვების ნანატრი ჟამი.

საბჭოთა ზურგი თავისი შრომითი მამაცობით ფრონტს არ ჩამორჩება. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წელს უხვი მოსავალი მოიყვანეს და ამთავრებენ მის აღებას.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენმა კოლმეურნეობამაც შეიტანა თავისი წვლილი ამ დიად საქმეში. ვძლევდით რა ომიანობის დროის სიძნელეებს, ჩვენ წელს გვალვიანი ზონის პირობებში მარცვლეული (თავთავიანი) კულტურების ყოველ ჰექტარზე მოვიყვანეთ და ავიღეთ 70 ფუთი, ხოლო სათესლე ნაკვეთებზე 100-მდე ფუთი.

დიდი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენმა კოლმეურნე მეცხოველეებმა. ამჟამად კოლმეურნეობას ჰყავს 258 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 963 ცხვარი, 110 ღორი. მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია მსხვილფეხა რქიანი საქონლის დარგში 110 პროცენტით, ცხვრისა—114 პროცენტით და ღორისა — 200 პროცენტით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მეცხენეობის განვითარებას. შარშან კოლმეურნეობაში იყო 60 ცხენი, ამჟამად კი 71 ცხენი გვყავს. ვამთავრებთ თავლის აგებას 100 ცხენისათვის.

უხეში საკვების დაგროვების გეგმა 1.600 ტონის რაოდენობით მთლიანად შესრულებულია. ფერმასთან მდებარე ნაკვეთზე აღებულია 480 ცენტნერი გოგრა და 400 ცენტნერი კარტოფილი და ჭარხალი. დამზადებული საკვების ნახევარი მიტანილია ფერმებში. კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა მთელი პირუტყვი ზამთრისათვის უზრუნველყოფილია საკვებით.

ყველა ზომა მივიღეთ იმისათვის, რომ ვადამდე შეგვესრულებინა ჩვენი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების დარგში, რათა გაგვეძლიერებინა წითელი არმიისა და მოსახლეობის მომარაგება სურსათით, ხოლო მრეწველობისა ნედლეულით.

პურის ჩაბარების გეგმა ჩვენმა კოლმეურნეობამ შეასრულა ვადამდე — 10 სექტემბერს. სულ სახელმწიფოს ჩავაბარეთ 46.032 ფუთი მაღალი ხარისხის მარცვალი, უმთავრესად ხორბალი.

მთლიანად შესრულებულია სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმა. ჩვენ ჩავაბარეთ 44.000 ლიტრი რძე, 136 ცენტნერი ხორცი, 14.375 კვერცხი, 672 კილოგრამი მატყლი, 177 ტყავი. აგრეთვე შესრულებულია ვალდებულებანი კარტოფილისა და თივის ჩაბარების დარგში. ვადამდე შევიტანეთ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და სესხზე ხელმოწერის შესატანები. ამასთან ერთად ჩვენ ვეხმარებით განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებს მათი მეურნეობის აღდგენაში. წელს ზაფხულში ჩვენმა კოლმეურნეობამ ჰიტლერელ ავაზაკთაგან განთავისუფლებულ რაიონებში გაგზავნა 13 უშობელი, 80 ცხვარი, 18 ბურვაკი და 2 ცხენი, მათ შორის რუსული ჩორთითი ჯიშის მწარმოებელი ულაყი.

ომიანობის დროის ძნელი პირობების მიუხედავად, ჩვენ ვცდილობთ განუწყვეტლივ ავამაღლოთ აგროტექნიკა და ჩვენს კოლმეურნეობაში შემოვიღეთ ათმინდვრიანი თესლბრუნვა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ უზრუნველვყოთ უხვი მოსავლის მიღება 1945 წელს. თესლი გავწმინდეთ, დავახარისხეთ და მარცვალსაცავებში შევინახეთ. კოლმეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილია რჩეული სათესლე მარცვლით, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალ წელს საგაზაფხულო ხორბლის ნათესები 1.000 ჰექტარამდე ავიყვანოთ, წლევანდელი 750 ჰექტარის ნაცვლად. დავიწყეთ მზრალად ხვნა ხორბლის დასათესავად.

ჩვენს ქვეყანას უნდა მივცეთ მეტი მარცვალი და ჩვენ ვიზრუნეთ ნათესი ფართობების გადიდებისათვის. წელს დავთესეთ 700 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები. ეს 400 ჰექტარით მეტია იმაზე, რაც შარშან იყო დათესილი. სანეულო ნახნავი ორჯერ იყო კულტივირებული, ხოლო დათესვის წინ დაფარცხული. თესვა დავამთავრეთ 1 სექტემბერს, ყველაზე ხელსაყრელ აგროტექნიკურ ვადებში. საშემოდგომო თესვის მაღალი აგროტექნიკა თავის შედეგებს იძლევა. ჭვავი თანაბრად და ერთბაშად ამოვიდა.

ჩვენი წარმატებანი სოფლის მეურნეობაში იმით აიხსნება, რომ მამაცი წითელი არმიის გამარჯვებანი კოლმეურნეებს აღაფრთოვანებენ თავდადებული შრომისათვის. ყოველი ჩვენგანი ამჟამად ცდილობს ორისა და სამის მაგიერ იმუშაოს.

მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირი გრიგოლ ანდრიას-ძე ვანიჩკინი, მისი ვაჟი მიხეილი და ქალიშვილი ევგენია საკოლმეურნეო ყანებში ისე მუშაობენ, რომ დროს არ ანგარიშობენ. ვანიჩკინების ოჯახმა რვა თვეში 1.000-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავა და ავანსად მიიღო 120 ფუთი პური, ბევრი ერბო-კარაქი, ხორცი, თაფლი და სხვა პროდუქტები.

1.000-ზე მეტი შრომადღე დაერიცხა მეღორე ვასილისა ხ... ქოვას ოჯახს. 60 წლის კოლმეურნე გრიგოლ ანდრიას-ძე კონდრატიევი, სამი ფრონტელის მამა, რომელიც უკანასკნელ თვეებში მარცვლის დატვირთვაზე მუშაობდა, ყოველდღე ნორმანახევარს-ნ... ნორმას ასრულებდა. მთლიანად შეინარჩუნა ყველა კვიცი და უზრუნველჰყო ცხენის სულადობის კარგი სიმსუქნე მეჯინიბემ ვასილ დიმიტრის-ძე ერიომინმა. სატრაქტორო რაზმის ბრიგადირი ალექსანდრე მაქსიმეს-ძე არტემიევი ყოველდღიურ დახმარებას უწევს ახალ ტრაქტორისტებს. მისმა ბრიგადამ მთლიანად შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა.

ჩვენს არტელში არ არის ისეთი კოლმეურნე, რომელსაც შრომადღეების მინიმუმი არ გამოემუშავებინოს.

ამხანაგო კოლმეურნეებო! საბჭოთა მიწა-წყლის მშრომელებო! ახლოა ჩვენი გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე. მაგრამ გამარჯვება თავისთავად როდი მოვა. იგი უნდა მოვიპოვოთ სასტიკ ბრძოლებში ფრონტზე და პატიოსანი, თავდადებული შრომით ზურგში. სასიკვდილოდ დაჭრილი, თავის ბუნაგში შემწყვდეული მხეცი საბოლოოდ უნდა იქნას და კიდევაც იქნება მოსპობილი. ომის გადამწყვეტ პერიოდში დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალები და ღირსეულად დავამთავროთ სასოფლო-სამეურნეო წელი, მივცეთ სახელმწიფოს მეტი პური, ხორცი, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, შემოდგომაზე მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ჩვენ გადავწყვიტეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის მზადების დღეები გავხადოთ ყანებსა და ფერმებში დამკვრელური შრომის დღეებად და შემდეგი ვალდებულებანი ვიკისრეთ:

1. პურის გალეწვა დავამთავროთ 5 ოქტომბრისათვის.
2. კარტოფილის ამოღება და ბოსტნეულის აღება დავამთავროთ 5 ოქტომბრისათვის.
3. მზრალად ხვნისა და შემოდგომის ანეულის სახელმწიფო გეგმა შევასრულოთ 15 ოქტომბრისათვის.
4. პირუტყვის გამოსაზამთრებელი სადგომების რემონტი და მოწყობა დავამთავროთ 5 ოქტომბრისათვის.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, მოვუწოდებთ ყველა კოლმეურნეს, ტრაქტორისტს, კომბაინერს, მემანქანეს, მექანიკოსს, აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ვეტერინარ ექიმს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს ჩაებან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩვენი ბრწყინვალე დღესასწაული აღვნიშნოთ ახალი საწარმოო გამარჯვებებით. დაე დიდი ოქტომბრის მომავალი წლისთავი ყოველ კოლმეურნეობაში აღინიშნოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სრული დამთავრებით, სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმების შესრულებით, პირუტყვის გამოზამთრებისათვის სანიმუშო მომზადებით, საშემოდგომო კულტურების თესვისა და მზრალად ხვნის გეგმების წარმატებით შესრულებით, ხოლო ყოველ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში სატრაქტორო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით შესრულებით და მანქანების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის წარმატებით გაჩაღებით.

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას, რომელიც ძლევამოსილ ბრძოლებს ეწევა ჩვენი სამართლიანი საქმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის!

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მხედართმთავარს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

მიმართვა მიღებულია სარატოვის ოლქის ვოსკრესენსკოეს რაიონის კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა საერთო კრებაზე. კოლმეურნეთა მინდობილობით მიმართვას ხელს აწერენ: კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ი. მარიინი; მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირები: გ. ა. ვანიჩკინი, ა. ი. ავერიანოვი; მერგოლური ა. გ. კაბანოვა; კოლმეურნეები: გ. ა. კონდრატიევი, ე. გ. ერიომინა, პ. ი. ივლიევა; სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები: ა. მ. არტემიევი, ვ. გ. ჩირკოვი; კომბაინერები: ს. ი. მორდვინოვი, ნ. ტ. დიმიტრიევი; ტრაქტორისტები: პ. ვ. ერიომინი, კ. სოკოლოვა; სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგე გ. ა. ხიჟოვი; მეცხვარეობის ფერმის გამგე ა. ი. მორდვინოვა; მეღორეობის ფერმის გამგე ნ. ფ. ლაპუშკინი; მწველავები: ა. ვ. ხოროკინა, ე. ნ. დუბოვიცკაია; მეჯინიბეები: ვ. დ. ერიომინი, ი. ი. ფედოტოვი; ვეტსანიტარი ვ. ი. უმიონიჩევი; საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი კ. ვ. ფილიპოვა; კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ე. ფ. ესინა.

# არტილერისტები

კაპიტან გ. ტ. ნიორაძის ქვეგანაყოფი ის იყო სოფელ ნ-ის მისადგომებთან მივიდა. მტერმა მის წინააღმდეგ კონტრიერიშზე გამოუშვა რამდენიმე ტანკი და ასეულამდე მეავტომატე. მდგომარეობა მეტად სერიოზული შეიქმნა. მტერი აპირებდა შემოვლას. კაპიტანმა ნიორაძემ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება, თავის ქვეგანაყოფს ტანკისათვის მიუდგომელი ადგილი დაჰკავებინა და არტილერისტებს ბრძანება მისცა ტანკების მოსპობის შესახებ. არტილერისტებმა მათთვის ჩვეული სისწრაფით შეასრულეს მეთაურის ბრძანება და რამდენიმე გასროლით მტრის ორი ტანკი გაანადგურეს. დანარჩენმა ტანკებმა სამარცხვინოდ უკან მოჰკურცხლეს. უტანკებოდ დარჩენილი გერმანელი მეავტომატენი საათნახევრის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ კაპიტან ნიორაძის ქვეგანაყოფმა მთლიანად მოსპო.

ასეთი ეპიზოდები კაპიტან ნიორაძის მხედრულ ცხოვრებაში მრავალია. სარდლობამ სათანადოდ შეაფასა კაპიტან ნიორაძის თავდადებული ბრძოლა. იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და მედლით „მამაცობისათვის“.

* * *

ბევრი საგმირო საქმეები აქვს ჩადენილი არტილერისტ ლომაბერიძეს. აი ერთი მაგალითი. ტყის განაპირას შენიღბული იდგა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. ქვემეხის ლულა მიქცეული იყო პირდაპირ მტრის ტანკებისაკენ, რომლებიც ნელ-ნელა ახლოვდებოდნენ. ლომაბერიძემ შეარჩია მომენტი და, როდესაც ტანკები ქვემეხს 500 მეტრზე მიუახლოვდნენ გასცა ბრძანება:

—ცეცხლი!

გერმანელებმა შენიშნეს, თუ საიდან ისროდა ქვემეხი და ყუმბარები დაუშინეს მას. ყუმბარები ქვემეხის ირგვლივ ცვიოდა. ნამსხვრევით დაიჭრა ლომაბერიძე, მაგრამ, მიუხედავად მწვავე ჭრილობისა, ქვემეხი არ დასტოვა. მტრის მანქანა ერთ ადგილას როდი იდგა, იგი სწრაფ მანევრებს აკეთებდა. მიუხედავად ამისა, ლომაბერიძის ქვემეხის გუნდმა მოსპო მტრის ტანკი, რომელიც უძრავად დარჩა ბრძოლის ველზე. მტრის კონტრშემოტევა ჩაიშალა და ჩვენმა მეომრებმა ისევ გასწიეს წინ.

ამავე დღეს წითელარმიელმა ლომაბერიძემ თავის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით მტრის სამი ტყვიამფრქვევი დაამსხვრია და მთლიანად მოსპო მათი გუნდები.

ამხ. ლომაბერიძის ვაჟკაცურ მკერდს ამშვენებს „წითელი ვარსკვლავის“ ორი ორდენი და მედალი „მამაცობისათვის“.

* * *

დავით სამსონის-ძე ფულარიამ 1938 წელს მოსკოვში დაამთავრა საფეიქრო ინსტიტუტი. შემდეგ ის მუშაობდა თელავის აბრეშუმის ფაბრიკაში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. მერმე მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკაში გადაიყვანეს, ხოლო სამამულო ომი რომ დაიწყო, იგი თბილისის აბრეშუმის მრეწველობის ექსპერიმენტალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში მუშაობდა.

1942 წლის დასაწყისში ფულარია შევიდა საარტილერიო სასწავლებელში და დამთავრებისთანავე ფრონტზე გაემგზავრა.

ომის ქარცეცხლში ფულარია გამოიწრთო და საუკეთესო არტილერისტი გახდა. მისი ქვემეხები ანადგურებენ მტრის ცოცხალ ძალას და ტექნიკას.

ერთ-ერთი გააფთრებული ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი არტილერისტები პირობებს უმზადებდნენ ქვეითს ჯარს შეტევაზე გადასასვლელად, ფულარია დაიჭრა. ამ დროს შეატყობინეს, რომ მტრის სამი ტანკი მისი ბატარეისაკენ მოიწევდა. ფულარიამ მოიკრიბა ძალ-ღონე და განაგრძო სროლა. ორი ტანკი ცეცხლში გაეხვია. მესამე ტანკი დასწვა ფულარიას ამხანაგმა. ამ ბრძოლისათვის მამაცი ლეიტენანტი დააჯილდოვეს სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

დავით ფულარია განკურნებისთანავე ფრონტს დაუბრუნდა და თავის ქვემეხით კვლავ ანადგურებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

* * *

1940 წელს აკაკი ივანეს-ძე გოგოლაძემ ფრიადზე დაამთავრა ლენინგრადის საარტილერიო სკოლა. სამამულო ომმა ახალგაზრდა არტილერისტს ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე მოუსწრო, იმ დღიდან იგი თავისი სახელოვანი არტილერისტებით ყოველთვის რისხვად ევლინებოდა ფაშისტ ქვეწარმავლებს.

მინსკის დაცვის დღეებში ახალგაზრდა ქართველ ოფიცერს მოუხდა მძიმე ბრძოლების გადატანა. იგი იცავდა მინსკის მისადგომებს, ხოლო შემდეგ ქვეითებთან ერთად მარჯვედ ამაგრებდა დნეპრის მარჯვენა ნაპირებს. მისი ხელმძღვანელობით არტილერიამ ბრძოლების პირველ დღეებში ბევრ გერმანელ ოფიცერს და ჯარისკაცს მოუღო ბოლო, ბევრი საბრძოლო ტექნიკა გაუნადგურა მტერს.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც იგი ასრულებდა სარდლობის დავალებას, მან მოიგერია მტრის 8 იერიში, გაანადგურა 6 ტანკი და გაჟლიტა 200 ჯარისკაცი და ოფიცერი.

1941 წელს 18 სექტემბერს იმ დივიზიას, სადაც გოგოლაძე მსახურობდა, მიენიჭეს გვარდიის დივიზიის სახელწოდება.

ჭაბუკმა გვარდიელმა კავკასიის დაცვისა და კავკასიიდან გერმანელთა განდევნის საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანა.

სტანიცა კრიმსკაიაში ბრძოლების დროს მტერმა დიდი ძალები მოაყარა და შეტევაზე გადმოსვლა სცადა. მოდიოდნენ „ვეფხვის“ და „ავაზის“ ტიპის ტანკების კოლონები. ბატარეამ, რომელსაც გოგოლაძე მეთაურობდა, მტრის ბევრი ტანკი დასწვა და რამდენჯერმე ჩაშალა მათი კონტრიერიშები. ამ ბრძოლებში გოგოლაძე მძიმედ დაიჭრა.

კრიმსკაიაში ბრძოლებისათვის ამხ. გოგოლაძემ მიიღო მთავრობის ჯილდო „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი. ამხ. გოგოლაძე ომის დაწყებისას იყო უმცროსი ლეიტენანტი, ამჟამად კი უკვე მაიორია.

* * *

შოთა პავლეს-ძე კარსანიძე დაიბადა 1912 წელს სოფელ მათხოჯში (წულუკიძის რაიონი). 1925 წელს დაამთავრა შვიდწლედი, 1928 წლიდან მუშაობდა ჯერ რკინიგზაზე, შემდეგ წულუკიძის ჩაის ფაბრიკაში. 1941 წლის სექტემბერში გაწვეულ იქნა წითელ არმიის რიგებში და ჩაირიცხა საარტილერიო ნაწილში მემიზნედ. მალე ის გახდა თავისი საქმის ფრიადოსანი. და დაჯილდოებულ იქნა ნიშნით „წარჩინებული არტილერისტი“.

მამულისათვის დაძაბულ ბრძოლებში კარსანიძეს არა ერთხელ უსახელებია თავი.

აი ერთი ეპიზოდი მდინარე იუგნი ბუგზე წარმოებული ბრძოლებიდან:

მძაფრი ბრძოლის შემდეგ ჩამოვარდა სიჩუმე. ქვემეხის მეთაურმა პოზნიაკოვმა გაიხედა წინ და კვამლის ბურუსში შეამჩნია მოლივლივე მდინარე — ეს იყო ბუგი.

— მოემზადეთ!—გაისმა მეთაურის ბრძანება.

მდინარის ნაპირზე მომწყვდეულმა ფრიცებმა ერთხელ კიდევ სცადეს შეტევაზე გადმოსვლა 8 ტანკის და 2 ჯავშნიანი მანქანის თანხლებით. მემიზნე კარსანიძემ მტრის ტანკები ახლო მანძილზე მოუშვა, რის შემდეგ იქუხა მისმა ქვემეხმა და მტრის მეწინავე ტანკი ცეცხლის ალში გაეხვია. სხვა ტანკებმა მთელი ცეცხლი კარსანიძის ქვემეხს დაატეხეს. მას მარტო მოუხდა ბრძოლა მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ. კარსანიძე მკლავში დაიჭრა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბრძოლას და თავისი ზუსტი ცეცხლით გაანადგურა კიდევ ერთი ტანკი, ხოლო დანარჩენები აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ. შოთა კარსანიძემ ძლიერი ცეცხლი დაადევნა უკან გაბრუნებულ ტანკებს და მესამეც გაანადგურა. მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვა კარსანიძემ ჭრილობის შეხვევა.

ასეთი მამაცობა და გმირობა მას არა ერთხელ ჩაუდენია. სახელოვანი არტილერისტი დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, „დიდების“ მესამე ხარისხის ორდენით და მედლით „მამაცობისათვის“.

ამჟამად შოთა კარსანიძე იბრძვის რუმინეთის ტერიტორიაზე.

ნ. ილუშვილი

# პარტიული ცხოვრება

## მოხსენებები კოლმეურნეობებში

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში სისტემატურად ეწყობა მოხსენებები პოლიტიკურ თემებზე. წელს რაიონის კოლმეურნეობებში 278 ასეთი მოხსენება ჩატარდა. მოხსენებები უმთავრესად იკითხება თემაზე „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".

მომხსენებლებად პოლიტიკურ თემებზე გამოყენებულია რაიონის აქტივი: პარტიის რაიკომის მდივნები, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეები, ინტელიგენცია.

კოლმეურნეები მოხსენებებისადმი უდიდეს ინტერესს იჩენენ. სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის და სოფელ ალის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებში და სოფელ ქვიშხეთის კოლმეურნეობა „ახალ შრომაში" ლექციებსა და მოხსენებებს ნიადაგ 100-200 კოლმეურნე ესწრება.

მოხსენებების ჩატარებამდე რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები წინასწარ გულდასმით სწავლობენ კოლმეურნეობის საწარმოო მაჩვენებლებს, ეცნობიან აგრეთვე თუ რა საკითხები აინტერესებთ კოლმეურნეებს და ყოველივე ამას ითვალისწინებენ თავიანთი გამოსვლის დროს.

გარდა ამისა, რაიონის კოლმეურნეებისათვის სისტემატურად ეწყობა კინოსურათების ჩვენება.

**ლ. ცუცქირიძე**

## პარტიული აქტივის რაიონული კრებები

**კასპი** („კომუნისტის" საკ. კორ.). 1944 წლის საშემოდგომო თესვის მიმდინარეობის საკითხი განიხილა კასპის რაიონის პარტიული აქტივის რაიონულმა კრებამ.

მომხსენებელმა, საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ქველაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ახალციხის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელმა და ლამისყანის კოლმეურნეობა „შრომამ" საშემოდგომო ხვნის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და ამჟამად გაჩაღებულია თესვა. საშემოდგომო ხვნას ორგანიზებულად აწარმოებენ აგრეთვე მეტეხის, ნიგოზის, იდლეთის, ქვემო ჩოჩეთის კოლმეურნეობები.

მაგრამ რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები ჩამორჩებიან საშემოდგომო ხვნასა და თესვაში. მაგალითად, წითელი ქალაქის კოლმეურნეობას ნაცვლად 80 ჰექტარისა მოხნული აქვს მხოლოდ 20 ჰექტარი. კიდევ მეტი ჩამორჩენაა ლამისყანის, სამთავისის, გრაკალის, თელადგორის კოლმეურნეობებში. ქვემო ჭალის, ქვემო გომის კოლმეურნეობებში ნიადაგს ცუდად ამუშავებენ.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო 20 ამხანაგმა.

პარტიული აქტივის სარაიონო კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუდიაშვილი.

* * *

**გალი** („კომუნისტის" საკ. კორ.). პარტიული აქტივის რაიონულმა კრებამ მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივნის ამხ. ა. ჭეჟიას მოხსენება ჩაის პლანტაციებისა და ტუნგოს ნარგავების მოვლისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რაიონში ჩაის პლანტაციების საგრძნობი ნაწილი მოუვლელია, დროზე არ ტარდება აგროტექნიკური ღონისძიებანი, რის შედეგადაც მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი დაბალია. მაგალითად, გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებში 377 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ვიდრე 1941 წელს, მაგრამ კოლმეურნეობებმა, ჩაის ფოთლის ხარისხის გაუარესების გამო, 1943 წელს 320 ათასი მანეთით ნაკლები შემოსავალი მიიღეს.

აქტივის რაიონულმა კრებამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ტუნგოს კულტურის მოვლის საკითხზე. გამოირკვა, რომ რაიონის კოლმეურნეობებში და აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ცუდად უვლიან ტუნგოს, არ თოხნიან და არ ღობავენ პლანტაციებს.

პარტიული აქტივის რაიონულმა კრებამ ჩაისა და ტუნგოს პლანტაციების მოვლა-დამუშავებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

* * *

**ქობულეთი** („კომუნისტის" საკ. კორ.). შესდგა ქობულეთის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის ამხ. შ. ჭანუყვაძის მოხსენება ჩაისა და ტუნგოს პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

კრებაზე გამოირკვა, რომ სტალინის, ვოროშილოვის, მიქოიანისა და ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობებში ყურადღებით უვლიან ჩაისა და ტუნგოს პლანტაციებს, რის შედეგადაც გადიდდა მოსავლიანობა, გაუმჯობესდა ჩაის ფოთლის ხარისხი, მაგრამ ჩაქვის, ოჩხამურის, ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობებში და ციხისძირის, კვირიკეს, ლეღვასა და ქობულეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაისა და ტუნგოს პლანტაციებს არადამაკმაყოფილებლად უვლიან, ზუსტად არ ატარებენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, რის შედეგადაც დაბალია ჩაის ფოთლის ხარისხი.

* * *

**ცხაკაია** („კომუნისტის" საკ. კორ.). პარტიული აქტივის რაიონულმა კრებამ მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივნის ამხ. ა. კილასონიას მოხსენება ჩაისა და ტუნგოს პლანტაციების მოვლისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ამხანაგები: ს. გაბელია, თ. ბუსკაძე, ბ. შამათავა, ე. შელეგია, ა. ადამია, ს. კურდღელია და სხვ.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ცხაკაიას რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ირღვევა ჩაის პლანტაციების მოვლის აგროტექნიკური წესები. სოფელ პირველი მაისის სტალინის სახელობის, სოფელ ზანის ბერიას სახელობის, სოფელ უშაფათის სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის და სოფელ ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციებს არ თოხნიან, სრულიად არ აწარმოებენ პლანტაციების გადაბარვას. ამიტომ არის, რომ საგრძნობლად გაუარესდა ჩაის ფოთლის ხარისხი. მაგალითად, რაიონმა მართალია ჩაის ფოთლის კრეფის ოთხი თვის გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულა, მაგრამ აქედან მხოლოდ 19 პროცენტია პირველი ხარისხის.

ცუდათ მუშაობს უშაფათის ჩაის ფაბრიკა. ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები, დროულად არ ხდება ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავება, რაც დიდი რაოდენობით იწვევს დანაკარგებს.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ტუნგოს ნარგავების მოვლა. ზანის, ლეძაძამის და შხეფის კოლმეურნეობებში ტუნგოს პლანტაციები მოუვლელობისაგან ნადგურდება.

პარტიული აქტივის კრებამ განხილული საკითხის გამო მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

## გაიხსნა ერთწლიანი პარტიული სკოლა

2 ოქტომბერს მეცადინეობა დაიწყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიულმა სკოლამ. ერთწლიან პარტიულ სკოლაში ცოდნის გასაღრმავებლად საქართველოს ყველა რაიონიდან მოვლინებული არიან ხელმძღვანელი მუშაკები. სკოლაში მიღებულია 157 ამხანაგი. ბევრი მათგანი სამამულო ომის მონაწილეა. მათ მკერდს უმშვენებს ორდენები და მედლები.

პარტიული სკოლის მსმენელები გაივლიან კურსს „სამამულო ომის შესახებ", საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიას, საერთაშორისო ურთიერთობასა და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას, გეოგრაფიას, სსრ კავშირის კონსტიტუციას, ქართულ ენას, რუსულ ენას და სხვ. სულ გათვალისწინებულია 11 საგანი. ლექტორებად მოწვეული არიან მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები. სკოლას აქვს საერთო საცხოვრებელი. მსმენელები უზრუნველყოფილი არიან ლიტერატურით, სტიპენდიით. ნაყოფიერი სწავლისათვის ყველა პირობა არის შექმნილი. პარტიულ სკოლაში მსმენელები გააღრმავებენ ცოდნას და მარქსიზმ-ლენინიზმით უკეთ შეიარაღებულნი დაუბრუნდებიან პრაქტიკულ მუშაობას.

1 ოქტომბერს მოხდა პარტიული სკოლის საზეიმო გახსნა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის დირექტორმა ამხ. ს. ლარცულიანმა მსმენელებს გააცნო პარტიული სკოლის მუშაობის ამოცანები. სკოლის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ს. დონაძე და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ე. შელიქოვი.

## პირუტყვის გამოზამთრებისათვის სუსტად ემზადებიან

**ფოთი** („კომუნისტის" საკ. კორ.). ზამთრისათვის პირუტყვს თბილი სადგომი და ნოყიერი საკვები სჭირდება. იმაზე, თუ როგორ მოვემზადებით ზამთრისათვის, ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის შემდგომი განვითარება.

კოლმეურნეობებში დაიწყეს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება, მაგრამ დღემდე ჩატარებული მუშაობა არასაკმაოა. ჭიანურდება თივის აღება და საკვების საზამთრო ადგილებზე მიზიდვა. რაიონში 15.000 ცენტნერი თივის ნაცვლად დამზადებულია 3.235 ცენტნერი, ხოლო თივის აღების დაწესებული ვადები უკვე მიიწურა.

პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. გვინჩი-) არ დაუწყიათ თივის დამზადება. თიბვა ნელი ტემპებით მიმდინარეობს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში და კოლმეურნეობა „სოციალიზმში". კომუნიზმის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლოლუა) დამზადებული თივა პირუტყვის სადგომამდე არ არის მიტანილი. სოფელ პატარა ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში აგვიანებენ პირუტყვის სადგომების მშენებლობას.

ზამთარი ახლოვდება. საზაფხულო საძოვრებიდან უკვე დაიწყო პირუტყვის მორეკვა. კოლმეურნეობათა გამგეობებმა და საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ პირუტყვისათვის საკვებისა და თბილი სადგომების მოსამზადებლად.

**ვ. ზუზაბაძე**

## ახალი ვალდებულება იკისრეს

**ჩხარი** („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების მესამე კვარტალის გეგმა 1 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს. ხორცის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 143 პროცენტით, ყველის—159-ით, კვერცხის — 117-ით, მატყლის—119-ით, ტყავისა—110 პროცენტით.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს: ჩხარის, ზედა საზანოს, სიქთარვის და თავასის სასოფლო საბჭოებმა. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის შეასრულონ.

**დ. კაჭკაჭიშვილი**

### „კომუნისტის" წერილების კვალდაკვალ

## „ნაყინი, ლუდი და უპატრონო სასადილო"

გაზეთ „კომუნისტის" 16 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი: „ნაყინი, ლუდი და უპატრონო სასადილო", რომელიც ეხებოდა კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა სასადილოსა და დამხმარე მეურნეობის მუშაობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები, განსაკუთრებით დამხმარე მეურნეობის მუშაობის შესახებ, სავსებით დადასტურდა. ქარხნის დირექტორს ამხ. მეშველიანს მიცემული აქვს წინადადება ერთი თვის განმავლობაში ააშენოს სალორე ქარხნის კუთვნილ დიდუბის მეურნეობაში, თვალყური ადევნოს ღორების მოვლა-პატრონობას, გააუმჯობესოს აღრიცხვა, გააუქმოს დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტების განაწილების არსებული უმართებულო წესი და უახლოეს ათ დღეში მოახდინოს დამხმარე მეურნეობის მუშაობის რევიზია.

ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. სუკიასოვს და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. პოპოვს წინადადება მიეცათ გააძლიერონ საზოგადოებრივი კონტროლის მუშაობა როგორც საქარხნო სასადილოში, ისე დამხმარე მეურნეობაში და სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშა-კონტროლიორებს.

# საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

## სტახანოველთა საქარხნო შეკრება

**ზესტაფონი** („კომუნისტის" საკ. კორ.). შესდგა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სტახანოველთა შეკრება, რომელმაც განიხილა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხი.

შეკრებაზე მეტი ლითონის გამოდნობისათვის შეჯიბრებაში გამარჯვებულ სტახანოველებს გადაეცათ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის სიგელები; სიგელები მიიღეს ამხ. ალ. შველმა, დ. ქარქაშიძემ, ალ. შარიქაძემ, ლ. ჭანტურიძემ, ივ. შეპტალოვმა, გ. ქინქლაძემ, ალ. სვანიძემ, ფ. იაკოვენკომ, ი. დანელიამ, შ. გუნცაძემ, ივ. რიბნიკოვმა, ს. დენისენკომ, სულ 26 კაცმა.

ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა მეოთხე საამქროს (უფროსი გ. სიორიძე, ტექნიკური ხელმძღვანელი რ. ოგლაძე), რომელმაც აგვისტოს დავალება 126 პროცენტით შეასრულა და ახალი წარმატება მოიპოვა სექტემბერში.

## მოწინავე საამქროები და ბრიგადები

კიროვის სახელობის ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი განსაკუთრებული მონდომებით მუშაობს, რათა წარმატებით შეასრულოს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულებები. საუკეთესო მაგალითებს იძლევიან იმ საამქროს მუშები, სადაც უფროსად არის ამხ. ფ. ბაღდავაძე. სექტემბრის საწარმოო დავალებათა შესრულებაში ამ საამქროს სტახანოველთა შორის თავი გამოიჩინეს მკერავმა ნ. მეტრეველმა, ორასოვანმა სტახანოველმა თ. გურეშიძემ, ნ. ჩირაძემ და სხვ.

გეგმა გადამეტებით შეასრულეს № 8 (ხელმძღვანელი ამხ. კ. კვერნაძე) და № 3 (ხელმძღვანელი ამხ. ვ. კუ-რაშვილი) საამქროებმა.

სექტემბრის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ახალგაზრდულმა ბრიგადებმა, რომელთაც ქ. ასათიანი და ო. მებუკე ხელმძღვანელობენ; მათ საწარმოო დავალებები 114,6 პროცენტით შეასრულეს.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ აგრეთვე № 2 ბრიგადა (ხელმძღვანელი ამხ. ც. ყიფიანი), № 8 ახალგაზრდული ბრიგადა (ხელმძღვანელი ამხ. ვ. ზვიადაძე) და ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. ო. კილაძე ხელმძღვანელობს.

**რ. ბერიძე**

## ლითონის მდნობელთა მიღწევები

**ზესტაფონი** („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ზესტაფონელი მეტალურგები თავდადებულად მუშაობენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის. ისინი წარმატებით იბრძვიან, რათა წლიური გეგმა შეასრულონ 103 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შეამცირონ 2 პროცენტით.

ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს სადნობი საამქროს მეორე ღუმელი, რომელსაც ცნობილი მდნობელი ამხ. ბ. გამგებელი ხელმძღვანელობს. ამ ღუმელმა ლითონის გამოდნობის აგვისტოს გეგმა 132 პროცენტით შეასრულა და 6,9 პროცენტით დაზოგა ელექტროენერგია. ამიტომაც მას საუკეთესო ღუმელის სახელწოდება მიენიჭა.

ფრონტული თავდადებით მუშაობს პირველი ბრიგადა, სადაც ცვლის უფროსია ამხ. გ. გველესიანი, ხოლო დნობის ოსტატი ლ. ბრეგვაძე. ამ ბრიგადას აგვისტოში საუკეთესოდ მუშაობისათვის მიეკუთვნა საამქროს გარდამავალი წითელი დროშა.

წარმატებები აქვს მეოთხე საამქროს კოლექტივს, რომელმაც აგვისტოს გეგმა 126 პროცენტით შეასრულა, ხოლო სექტემბრის ორ დეკადაში უკეთესი მაჩვენებელი მოგვცა. ეს საამქრო მტკიცედ ინარჩუნებს ქარხნის გარდამავალ წითელ დროშას.

ლითონს გეგმის გადამეტებით იძლევიან მეტალურგები ამხ. დ. ქარქაშიძე, ი. დანელია, შ. გუნცაძე და სხვ., რომლებიც დაუღალავად იბრძვიან, რათა ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ დიად დღესასწაულს.

**პ. მიოკაძე**

## ღვინო კახური, კარდენახული

**(გურჯაანი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)**

წნორისაკენ მიმავალ რკინიგზასა და შარაგზას შუა რამდენიმე ასეულ ჰექტარზე გადაჭიმულია ვაზის პლანტაციები. ეს ცივგომბორის ქედის კალთაზე გაშენებულ სოფელ კარდენახის კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების წყაროა. ვის არ სმენია სიმღერა „ღვინო კახური, კარდენახული".

კარდენახელები მემინდვრეობასა და მესაქონლეობასაც მისდევენ, მაგრამ მათი ძირითადი საზრუნავი ვენახია.—წელს აქ ყურძნის უხვ მოსავალს მიიღებენ.

პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები 33 ჰექტარზეა გაშენებული. უყურებთ მტევნებით დატვირთულ ვაზებს, საკოლმეურნეო შრომის ხვავსა და ბარაქას და გული სიხარულით გევსებათ. ასე უხვად ვაზებს კოლმეურნეთა გამრჯე მარჯვენამ დაასხმევინა. წელს ვენახები სამჯერ გათოხნეს, ოთხჯერ შეწამლეს ბორდოს ხსნარით და, ორჯერ გოგირდი შეაფრქვიეს. დროულად ჩაატარეს ვაზის მწვანე ოპერაციებიც. შარშან თუ ჰექტარზე საშუალოდ 45 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, წელს 80 ცენტნერზე მეტს თუ არა, ნაკლებს არ მოიწევენ. მოგვარებულია სოციალისტური ქონების დაცვაც. მსხმოიარე ვენახებს გამოცდილი და ერთგული კოლმეურნეები უვლიან.

ვენახების დამუშავებაზე ყველა ბრიგადა კარგად მუშაობდა, თუმცა მაინც გამოირჩევა მეექვსე ბრიგადა. ბრიგადირი გ. მღვდლიაშვილი მარჯვე და შრომისმოყვარე ადამიანია. იგი პარტიის წევრია და ღირსეულად ატარებს ბოლშევიკის საამაყო სახელს. კოლმეურნე შ. ბასილაშვილს გამომუშავებული აქვს 256 შრომადღე, გ. გულაშვილს—195, ა. ბასილაშვილს—125 შრომადღე. კოლმეურნე ქალები თ. ოგანეზოვა, ს. ელისაშვილი ორმაგად და სამმაგად ასრულებენ დღიურ ნორმებს.

ყურძენი უკვე დამწიფდა. ახლა მთელი ყურადღება სამარნე მეურნეობის მოწესრიგებისაკენ არის მიმართული. კოლმეურნეები რთველისათვის ემზადებიან: რეცხავენ ქვევრებს, წნავენ გოდრებსა და კალათებს, ამზადებენ ყურძნის გადასამუშავებელ მანქანებს. ყურძენში შაქრიანობამ უკვე მიაღწია 18 პროცენტს, 4 პროცენტიც მალე მოემატება და რთველიც მასობრივად დაიწყება.

მშობლიური წითელი არმიის სახელოვანი მებრძოლები შეუჩერებლივ მიიწევენ წინ, დასავლეთისაკენ, რათა საბოლოოდ გაანადგურონ დაჭრილი ფაშისტი მხეცი.

კარდენახელები 52 ტონა საუკეთესო ხარისხის ყურძენს ჩააბარებენ სახელმწიფოს. სასიამოვნო სასმელ ღვინოსაც გაუგზავნიან ჩვენს მებრძოლებს, თვითონაც მოჩუხჩუხე მაჭრით სავსე ქვევრის პირზე შესვამენ გმ[illegible] წითელი არმიისა და უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის სადღეგრძელოს.

ბარაქა თქვენს ნაშრომს, კარდენახელებო!

**შ. მაჭავარიანი**

## დაიწყო მეცადინეობა უფროს კლასებში

2 ოქტომბერს მეცადინეობა დაიწყო თბილისის სკოლების 5-10 კლასებში. საქდესის თანამშრომელთან საუბრის დროს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ბ. ი. კიზირიამ განაცხადა:

მეცადინეობა დაიწყო ქალაქ თბილისის უფროსი კლასების 31 ათასმა მოწაფემ. მათგან 2.700 კაცი წელს ამთავრებს საშუალო სკოლას. მოწაფეები ფიზიკურად გამოწრთობილი და გაჯანსაღებული იწყებენ ახალ სასწავლო წელს. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ზაფხულში მუშაობდა მცხეთის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში. 7.500 მოწაფე, მათ შორის უფროსი კლასების მრავალი მოსწავლე, ისვენებდა ქალაქის საბავშვო გამაჯანსაღებელ მოედნებზე, ათასობით მოწაფემ ზაფხული გაატარა პიონერთა ბანაკებში.

წელს პირველად მოეწყო ბავშვთა სალაშქრო ბანაკი. მან ჩაატარა უაღრესად საინტერესო და სასარგებლო ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობანი, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა 100 ვაჟი და გოგონა. სასწავლო-საბანაკო შეკრებანი გაიარა ასობით ვაჟმა — მერვე და მეცხრე კლასთა მოწაფეებმა.

ქალაქის სკოლები მოემზადნენ იმისათვის, რომ ორგანიზებულად შეხვდნენ თავიანთ უფროს აღსაზრდელებს. ძირითადად შეკეთებულია ყველა სასკოლო შენობა, დამატებით გაწყობილია და ეწყობა კაბინეტები, განსაკუთრებით სამხედრო კაბინეტები. მოწაფეთა სამხედრო ფიზიკური მომზადების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე სასწავლო წელს ქალაქის ხუთ რაიონში იხსნება ახალი ფიზკულტურული მოედნები.

დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა სკოლის გარეშე მუშაობისა და დასვენების ორგანიზაციას. მუშაობა დაიწყო ქალაქის ორმა საბავშვო ტექნიკურმა სადგურმა — ლენინის რაიონში და 26 კომისრის სახელობის რაიონში.

მალე დაიწყებენ მუშაობას საბავშვო ტექნიკური სადგურები კიროვისა და ბერიას სახელობის რაიონებში. ქალაქის სასკოლო ბიბლიოთეკებსა და საბავშვო ბიბლიოთეკებში გამოფენილი იქნება ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები ცალკეულ საგნებში უფროს კლასთა მოსწავლეთათვის. ტარდება სისტემატური საუბრები ნორჩ მკითხველებთან. მუშაობას აფართოებენ პიონერთა სასახლე, მოზარდ მაყურებელთა თეატრები, ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის სახლი. მიღებულია ზომები სკოლებისათვის მეთოდური დახმარების გასაძლიერებლად. ამ მიზნით საქალაქო მეთოდური კაბინეტის გარდა მეთოდური კაბინეტები ეწყობა ქალაქის ყველა რაიონში (საქდესი).



თბილისი. მე-11 ვაჟთა ქართული სკოლა. მასწავლებელი ამხ. ვ. პატარაია არითმეტიკის გაკვეთილს ხსნის მე-5 კლასში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## წარმოების ნარჩენების გამოყენების საკითხისათვის

წარმოების ნარჩენების გამოყენების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სწრაფად ზრდადი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფასთან. მას უაღრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად წარმოების ნარჩენები თანდათან მეტ გამოყენებას პოულობენ. ამა თუ იმ წარმოების ნარჩენი სხვა წარმოებისათვის ძვირფას ნედლეულს წარმოადგენს და, თავისთავად ცხადია, მისი გადაყრა-დაკარგვა ბუნებრივი სიმდიდრის განიავებას უდრის.

გარდა ამისა, ნარჩენის გამოუყენებლობა ხშირად სხვა ზიანსაც გვაყენებს. 1) ქარხნის ტერიტორიაზე დაგროვებული ნარჩენები არაიშვიათად დიდ ადგილს იჭერენ და მის გაწმენდა-გასუფთავებაზე მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება, 2) ატმოსფეროში, ჩამდინარე წყლებსა და ნიადაგში მოხვედრილი ნარჩენები იწვევენ ჭუჭყს. მეტალურგიული აირები, რომელნიც გოგირდოვან აირს შეიცავენ (მაგალითად, ზესტაფონის ქარხანაში, თბოცენტრალებზე და სხვ.), სწამლავენ ატმოსფეროს, ცუდად მოქმედებენ მოსახლეობაზე, ცხოველებსა და მცენარეულობაზე; ქაღალდის ქარხანაში სულფიტის თუთქი საწამლავს წარმოადგენს და გაუვნებლობის გარეშე არ შეიძლება მისი წყალში ჩაშვება. ნავთობის გადამუშავებისას მიღებული ნარჩენი—მჟავა გუდრონი (ბათუმში, ბაქოში და სხვ.) აგრეთვე სწამლავს წყლებს, აზიანებს ლითონის ნაწილებს. მდინარე ყვირილა ჭუჭყიანდება მარგანეცის ნარეცხი წყლებით. წარმოების პრაქტიკიდან ბევრი ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება.

აქედანაც ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნარჩენების გამოყენებას, რაც წარმოებას უბრუნებს ძვირფას მასალა-ნედლეულს და თავიდან გვაშორებს ყველა იმ უარყოფით მოვლენას, რომელთაც ადგილი აქვთ მათი გამოუყენებლობის შემთხვევაში.

წარმოების ნარჩენების გამოყენების საკითხში პირველი ამოცანაა მათი რაოდენობის დაყვანა მინიმუმამდე, ხოლო მეორე — მოხმარების შესაფერისი გზების გამონახვა და გადამუშავების ხელსაყრელი ხერხების დადგენა.

ნარჩენების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანით ჩვენ ვაღწევთ მასალებისა და ნედლეულის ეკონომიას, ხოლო გულმოდგინედ მათი შეკრებითა და დახარისხებით ვავრცელებთ განსაზღვრულ ფასეულობას. ეს უზრუნველყოფს წარმოებას ნედლეულით და ამცირებს ამა თუ იმ ნაწარმის შემოზიდვას.

მაგრამ მარტო ეკონომიური სარგებლობით არ ამოიწურება ნარჩენების გამოყენების პრობლემა. ზრუნვა ნარჩენების შემცირებისათვის, მათი სრული გამოყენებისათვის წარმოადგენს წარმოების სოციალისტური რაციონალიზაციისათვის ბრძოლის ნაწილს. ამ პრობლემის გადაჭრას განსაკუთრებით ხელსაყრელი ნიადაგი აქვს საბჭოთა კავშირში, სადაც მრეწველობის აგება ხდება ნივთიერების, ენერგიის ყველა სახეობის უაღრესად სრული და კომპლექსური გამოყენების საფუძველზე.

ამ პრობლემას აგრეთვე აქვს კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ნედლეულისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება ზრდის მომუშავის კულტურას, მაღლა სწევს მის კვალიფიკაციას, ხელს უწყობს ინიციატივას.

რა მდგომარეობაა საქართველოში ნარჩენების გამოყენების მხრივ? უდაოა, რომ ამ საქმეში გვაქვს გარკვეული მიღწევები. მაგალითად, თბილისის ხორცკომბინატი, სარეწაო საბჭოს საწარმოები, თბილისის რძის ქარხანა და სხვა იყენებენ მთელ რიგ ნარჩენებს და იღებენ სამკურნალო პრეპარატებს, საკვებ ნივთიერებებს, ფართო მოხმარების საგნებს. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

[illegible]ოთ ხე-ტყის მრეწველობა. როგორც ცნობილია, ხე-ტყის მასალას დახერხვისა და შემდგომი მექანიკური დამუშავებისას გამოუყენებელი რჩება 60-70 პროცენტი მერქანი. მისგან შეგვიძლია მივიღოთ ხელოვნური ბოჭკო, ცელულოზა, ქაღალდი, საღებავები, სანდალოზები, შაქარი, სპირტი, მთრიმლავი ექსტრაქტები, კინოაფსკა, ლინოლეუმი, ძმრის მჟავა, კანიფოლი, სკიპიდარი, ხელოვნური ქაფური, ფორმალინი, აცეტონი და სხვ., რომელთაც სახალხო მეურნეობაში მრავალმხრივი გამოყენება აქვთ. ხე-ტყის ქარხნებში გროვდება უამრავი ნახერხი, რომელიც უკეთეს შემთხვევაში სათბობად იხმარება, მაშინ, როცა მისგან მრავალი ძვირფასი ნაწარმის მიღება შეგვიძლია. ნახერხისგან ერთგვარი მექანიკური დამუშავებით იღებენ ხელოვნურ მერქანს, ხოლო ქიმიური დამუშავებით — საკვებ შაქარს შინაური ცხოველების გასასუქებლად; მისგანვე ჰიდროლიზით იღებენ ღვინის სპირტს, რომლის დასამზადებლად ჩვეულებრივ ხმარობენ ხორბლეულსა და კარტოფილს. აღსანიშნავია, რომ ერთი ტონა ნახერხი იძლევა იმდენსავე სპირტს, რამდენსაც ერთი ტონა კარტოფილი, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ღვინის სპირტთან ერთად ნახერხისაგან მიიღება აგრეთვე ძმრის მჟავა და ქიმიური მრეწველობისათვის მეტად ძვირფასი ნაწარმი ფურფუროლი, რომელსაც პლასტმასების წარმოებაში იყენებენ. ჰიდროლიზის შედეგად ნახერხისაგან რჩება ლიგნინი. მისი დაბრიკეტებით მიიღება საწვავი მასალა, რომელსაც მერქანზე მეტი სითბო აქვს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ხილის კურკის გამოყენების საქმე. მურაბის ხარშვისას, ვაჟინისა და სასმელების დაყენებისას, კომპოტების დაკონსერვებისას, ხილის გახმობისას თავს იყრის დიდძალი ნარჩენი კურკის სახით. ერთი კილოგრამი ნედლი ხილი შეიცავს კურკას: ალუბალი—150 გრამს, ჟერამი — 55-70, ატამი — 55-80, ქლიავი—40-55, კურკის გამოყენება წარმატებით შეიძლება ზეთის მისაღებად, რომელიც გამოსადეგია საკვებად და განსაკუთრებით ტექნიკური მიზნებისათვის (საპნის წარმოებაში, მოხარშული ზეთის დასამზადებლად და ა. შ.).

ზეთი მიიღება საკმაოდ დიდი რაოდენობით ალუბლის კურკიდან — 35 პროცენტი, ქლიავის — 34, ყურძნის — 10-20, საზამთროს— 30-40, გოგრის — 30-40.

ზეთის გამოღების შემდეგ დარჩენილი წეწონი წარმოადგენს საქონლისათვის საუცხოო საკვებს. ნაჭუჭი, კურკიდან გულის გამოღების შემდეგ, იხმარება აქტივირებული ხის ნახშირის დასამზადებლად, რომელსაც გამოყენება აქვს სხვადასხვა ტექნიკური მიზნებისათვის და თავდაცვის საქმეში.

ხილისა და მწვანილის ნარჩენებიდან ბოლო დროს დიდი რაოდენობით იღებენ პექტინს, ჟელატინოვან ნივთიერებას, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა ჟელეს, ვაჟინისა და სხვა წარმოებაში.

ჭაჭისაგან იღებენ არა მარტო შუაღვინოს, ძმრის მჟავას და სპირტს, არამედ მისი მშრალი გამოხდით აგრეთვე სანათ აირს და საღებავს— ფრანკფურტის შავას, შავი კრეოზოტის მისაღებად გამოსადეგ კუპრსა და სხვ. მაგრამ ამ წარმოების ნარჩენებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ღვინის-ქვა (ხაშური), რომელიც გამოიყოფა ღვინიდან დუღილის დამთავრებისა და სალუარის დალექვისას, აგრეთვე ღვინის შემდგომი დაყენების დროს. ხაშურში არის მდიდარი მასალა ღვინის მჟავასა და მისი მარილების დასამზადებლად, რომელთაც დიდი გამოყენება აქვთ მედიცინაში, საღებავების საქმეში, როგორც საიმპორტო ლიმონმჟავას შემცვლელს.

შაქრის მრეწველობის ნარჩენი — ჭარხლის ბადაგი იძლევა სპირტს, სამოტორო საწვავს (სპირტისა და ეთერის ნარევს), პოტაშს, ამონიუმის, ციანისა და სხვა ნაერთებს, ხოლო ჩამდინარე წყლები უშუალოდ, ამიაკის მიმატების შემდეგ, — სასუქ ნივთიერებას.

სხვა დარგებიდან — ტყავის წარმოება ნარჩენის სახით იძლევა გამრეცხ ფლასკებში მარილებისა და მჟავების ხსნარს, კალციუმის სულფატს; მთრიმლავ ფლასკებში — მთრიმლავ ექსტრაქტებს, სანაცრე სითხეში — კირს, მაგნეზიუმს და სხვა ტუტეებს, ტყავის გახსნილ ნაწილებს. ტყავქვეში კანი და ტყავის ნარჩენი — წებოს, საასორბციო ნახშირს და სასუქ მასალებს.

ყოველი წარმოება, მეტი თუ ნაკლები რაოდენობით, იძლევა ნარჩენს, რომლის გადამუშავების შედეგად მიიღება სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მრავალი ძვირფასი ნაწარმი.

წარმოების ნარჩენების გამოყენება ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით ხდება. ბევრს კარგად არა აქვს შეგნებული, თუ რა დიდ დოვლათს წარმოადგენს ნარჩენის ის ტონები, რომელნიც გროვდება ფაბრიკა-ქარხნებში, მეურნეობებში, სახლებში. ბევრი ჩვენგანი დაუფიქრებლად აგდებს სანაგვე ყუთში ცარიელ საკონსერვო ქილა-კოლოფებს, უვარგის ყულაბებს, მოკალული თუნუქისა და კალის შემცველ სხვა ნაკეთობას, მაშინ როცა მათი გამოყენება შეიძლება მრეწველობაში.

თვითეულმა წარმოების ხელმძღვანელმა, ცალკეულმა მუშაკმა, ოჯახის წევრმა უნდა იზრუნოს მასალის ეკონომიისათვის, ნარჩენების შემცირებისა და მიღებული ნარჩენების მაქსიმალური გამოყენებისათვის.

ყოველმა მოქალაქემ სახელმწიფოს რომ შესძინოს თუნდაც რამდენიმე მანეთის მასალა, საერთო ჯამში ის მილიარდებს მოგვცემს. ეს კი დიდად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების კიდევ უფრო განვითარებას, ხელს შეუწყობს სახელოვანი წითელი არმიის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას და საზიზღარი მტრის საბოლოოდ განადგურების დაჩქარებას.

**პროფესორი შ. კაკაბაძე**
მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

## მოვამზადოთ სილიკატური მრეწველობის სპეციალისტები

საქართველოში სილიკატური მრეწველობის ფართოდ განვითარების დიდი შესაძლებლობაა. ჩვენში მოიპოვება ყველა პირობა არა მარტო სამშენებლო მასალების წარმოების განვითარების, არამედ ცეცხლგამძლე (შამოტის და დინასის) მინის, ცემენტის, ფაიფურ-ფაიანსის წარმოების განვითარებისთვისაც.

საჭურჭლე მინის წარმოებისათვის საჭირო ძირითადი ნედლეულის — კვარცის ქვიშის საბადოები საქართველოში მრავალ ადგილას არის, მათ შორის ყველაზე ცნობილია: ზემო ავჭალის, სურამის, ქროლის, ითხვისის საბადოები, რომელთა ბაზაზეც მუშაობენ ბორჯომის, ქუთაისის და ავჭალის მინის ქარხნები.

საქართველო მდიდარია ძლიერ დეფიციტური დინასისა და შამოტის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით.

ცეცხლაურის, ოჩხამურის და მაჭარულას ცეცხლგამძლე თიხები, ტყიბულის თიხის ფიქალი, წნელისის და დილიკაურის კვარცი, აჯამეთის ქალცედონი, მარელისის კვარციტი წარმოადგენენ ძვირფას ნედლეულს კერამიკული წარმოების გასაშლელად.

ჩვენში მრავლად მოიპოვება აგრეთვე სილიკატური წარმოებისათვის საჭირო სხვა სახის მაღალხარისხოვანი ნედლეულის—კირქვის, დოლომიტის, ცარცის, მინდვრის შპატის და სხვ. საბადოები.

საქართველოში მეტალურგიისა და მინის წარმოების ზრდა საჭიროდ ხდის დავაჩქაროთ ჩვენში სილიკატური მრეწველობის განვითარება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე.

ადგილობრივი ნედლეული ჯერ კიდევ საფუძვლიანად შესწავლილი არ არის როგორც ქიმიურად, ისე ტექნოლოგიურად. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა ჩაატარა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სილიკატური მრეწველობის კათედრამ. მაგრამ ეს დასაწყისია. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის უფრო ფართო მასშტაბით განგრძობა.

ცხადია, ახალი სახის ნედლეულის ათვისება, მისი წარმოებაში დანერგვა და საერთოდ წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული სპეციალისტთა კადრზე. სილიკატური მრეწველობისათვის სპეციალისტებს ჩვენში ამზადებს მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი — საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. სამამულო ომის პერიოდში ინსტიტუტმა სილიკატური პროფილით 58 ინჟინერ-ტექნოლოგი გამოუშვა. რა თქმა უნდა, ეს ცოტაა სილიკატური მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, სერიოზულად უნდა დაისვას საკითხი საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებისა. საქართველოში არსებული რამდენიმე ათეული სპეციალური ტექნიკუმიდან არც ერთი არ ამზადებს ამ განხრის ტექნიკოსებს. ჩვენის აზრით კი აუცილებელია ამიერ-კავკასიის მეტალურგიის ტექნიკუმისათვის სხვა განხრებთან ერთად ამ განხრის მიცემაც. ეს არა მარტო თვით მეტალურგიული წარმოებისთვის არის აუცილებელი, არამედ საქართველოში სილიკატური მრეწველობის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

რაც მეტი დრო გაივლის, მით უფრო მეტი იქნება მაღალ ტემპერატურებზე მომუშავე საწარმოთა რიცხვი. საჭირო გახდება შევქმნათ მძლავრი სილიკატური მრეწველობა. ამიტომ საჭიროა ახლავე ვიზრუნოთ მრეწველობის ამ დარგის სპეციალისტთა კადრების აღზრდისათვის.

**დოცენტი პ. ქუთათელაძე**
**ასპირანტი ბ. ალასანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოლტავის ოლქის ველიკიე კრინკის რაიონის სოფელ პოპოვკის კოლმეურნე პატრიოტი ქალები მარიამ პავლეს-ასული და ულიანა მიხეილის-ასული ბელოგრადები, რომლებიც დაჯილდოებული არიან სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენებით ნ სატანკო პოლკის საბრძოლო დროშის გადარჩენისათვის.

ფოტო გ. უგრინოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# პოლონეთი აღორძინების გზაზე

## (პოლონური პრესის მიმოხილვა)

პოლონეთის რესპუბლიკის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე სწარმოებს ნაციონალური ცხოვრების აღორძინება — დამოუკიდებელი პოლონური სახელმწიფოებრიობის აღდგენა. პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის გარშემო მჭიდროდ ირაზმებიან პოლონელი ხალხის ფართო ფენები, რომლებიც გაერთიანებული არიან ნაციონალურ ფრონტში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის დროშით. იმ რეაქციული ელემენტების მავნებლური საქმიანობის წინააღმდეგ, რომელთაც ლონდონის ემიგრანტული „მთავრობა“ ხელმძღვანელობს, ხალხი უაღრესად აქტიურად უჭერს მხარს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ყველა ღონისძიებას. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს ამ უკანასკნელ კვირეებში შემდგარი ყრილობები პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომელნიც პოლონეთის ნაციონალური ცხოვრების მთავარ მიმდინარეობებს წარმოადგენენ.

ამას წინათ შესდგა მოწინავე გლეხი ახალგაზრდობის კავშირის—„ვიცის“ ყრილობა.

ყრილობამ სავსებით დაუჭირა მხარი პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ მოღვაწეობას და განაცხადა:

„ჩვენ გვსურს თავისუფალი, დამოუკიდებელი და ძლიერი პოლონეთი. ჩვენს დამოუკიდებლობას გერმანელები ემუქრებიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლონელმა ხალხმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რასაც შეუძლია გაანადგუროს ოკუპანტი და მომავალში შეუძლებელი გახადოს გერმანული იმპერიალიზმის აღორძინება“.

„ვემყარებით რა ისტორიულ წანამძღვრებს და თანამედროვე სინამდვილეს, ჩვენ მხარს ვუჭერთ კავშირს სსრ კავშირთან. ჩვენ ვასწორებთ ჩვენს პოლიტიკას, რომელიც გამრუდებული იყო საუკუნეთა მანძილზე“.

იგივე აზრი გამოსთქვა „სტრონიცტვო ლიუდოვეს“ პარტიის 1-ლმა ყრილობამ, პარტიისა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს პოლონელი გლეხობის ფართო მასებს. ყრილობის რეზოლუციაში ჩვენ ვკითხულობთ:

„სტრონიცტვო ლიუდოვეს“ პარტიის 1-ლი ყრილობა დგება იმ სოციალურ და პოლიტიკურ პლატფორმაზე, რომელიც გამოქვეყნებულია პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის 1944 წლის 22 ივლისის მანიფესტში.

ყრილობას მიაჩნია, რომ ამ მანიფესტში ასახულია პოლონელი დემოკრატიის მისწრაფებანი 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, კანონიერების, სოციალური სამართლიანობისა და ძირეული დემოკრატიული რეფორმების საფუძველზე მოაწყოს აღორძინების გზაზე შემდგარი დამოუკიდებელი სამშობლო, და მოუწოდებს პოლონელ გლეხობას ითანამშრომლოს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან დამოუკიდებელი, დემოკრატიული სუვერენული პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენის საქმეში“.

„პოლონელ გლეხობას მუდამ ეხსომება პოლონეთის არმიისა და წითელი არმიის მიერ ერთად დაღვრილი სისხლი, ის მსხვერპლი, რაც პოლონელმა და საბჭოთა ხალხებმა გაიღეს ევროპის დამონებულ ხალხთა თავისუფლებისათვის სასტიკ ბრძოლაში“.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის 1-ლ კონფერენციაზე ყველა ორატორმა მხარი დაუჭირა მშრომელთა ერთიანობას გერმანელი დამპყრობლებისა და პოლონეთის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მიმართულია დამოუკიდებელი დემოკრატიული პოლონეთის შექმნისაკენ.

კონფერენციამ განაცხადა, რომ საჭიროა პოლონეთის სოციალისტური პარტიის მჭიდრო თანამშრომლობა პოლონეთის მუშათა პარტიასთან და „სტრონიცტვო ლიუდოვეს“ პარტიასთან.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტისათვის სავსებით ხელშეწყობას მხარი დაუჭირა აგრეთვე აღორძინებულმა პოლონეთის დემოკრატიულმა პარტიამ (პოლსკე სტრონიცტვო დემოკრატიჩნე), რომლის თავმჯდომარე, ცნობილი პოლონელი მეცნიერი პროფესორი მიხალოვიჩი ჰიტლერელმა ჯალათებმა მაიდანეკში მოჰკლეს. ამჟამად პოლონეთის დემოკრატიულ პარტიას პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტში წარმოადგენს ვ. რჟიმოვსკი — კომიტეტის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელი.

* * *

აგრარული რეფორმა, რაც გამოქვეყნდა პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის 1944 წლის 6 სექტემბრის დეკრეტით, იმ ფაქტის მკაფიო დადასტურებაა, რომ პოლონეთის დემოკრატიას უნარი შესწევს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განუხრელად განახორციელოს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტით გამოცხადებული პროგრესული პროგრამა. აგრარული რეფორმა ნიშნავს პოლონეთში ფეოდალიზმის მეტად ძლიერი ნაშთების აღმოფხვრას, რომლებიც აფერხებდნენ პოლონეთის სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

გაზეთ „რჟეჩ პოსპოლიტას“ მოჰყავს ლიუბლინის სავოევოდოს სოფლის მეურნეობის მუშათა ყრილობის მონაწილეების მთელი რიგი გამოსვლები. ყრილობაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში პულავის მაზრის მცხოვრებმა იან კოვალჩიკმა განაცხადა:

„აგრარული რეფორმა აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ჩვენ ვიცით, თუ რამდენი მიწა გვაქვს. ჩვენ გეოდეზიური ინსტრუმენტებიც კი არ გვესაჭიროება. ჩვენ საკუთარი ნაბიჯით გავზომავთ მიწას“.

ტომაშევის მაზრის მცხოვრებმა მოხუცმა გლეხმა იან ვისნევსკიმ უამბო ყრილობას, რა მხეცურად ულეტდნენ გერმანელები პოლონელ მოსახლეობას. „თუმცა არა ყველანი, მაგრამ ჩვენ მაინც განვაგრძობთ ცხოვრებას“, — სთქვა მოხუცმა,—„ჩვენ გავერთიანდებით, რათა მთელი ძალ-ღონით დავეხმაროთ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს“.

* * *

პოლონელი ხალხი თავის ახალ ცხოვრებას აშენებს იმ ნაციონალური ერთიანობის დროშით, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიის საფუძველზე. ეს ერთიანობა განხორციელებულია კრაიოვა რადა ნაროდოვასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტში. ამ ერთიანობის განსახიერებას წარმოადგენს პოლონეთის აღორძინებული ჯარი, თავდადებით რომ იბრძვის პოლონეთის იმ დანარჩენი ოლქების გასათავისუფლებლად, რომლებიც ჯერ კიდევ გმინავენ გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ.

ამჟამად პოლონეთის ჯარის პირველი არმია ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებთან ერთად დგას მრავალტანჯული ვარშავის კართან. ა. წ. 12 სექტემბერს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სამხედრო საბჭომ საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის მეთაურობით შემდეგი დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის ჯარის 1-ლი არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ბერლინგს:

„დღეს პოლონეთის 1-ლი ქვეითი დივიზიის ჯარისკაცებმა სამაგალითო მამაცობა და გულადობა გამოიჩინეს შეტევაში. გთხოვთ მიულოცოთ რიგითს ჯარისკაცებს, უნტერ-ოფიცრებსა და ოფიცრებს დღევანდელი დღის საბრძოლო წარმატებანი და უსურვოთ მათ შემდგომი გამარჯვებანი ჩვენს საერთო მტერზე—გერმანელ დამპყრობლებზე“.

ვარშავას უკვე ესმის პოლონელთა და საბჭოთა ზარბაზნების გრიალი. განთავისუფლებულია პოლონეთის დედაქალაქის მარჯვენა ნაპირის გარეუბნები: პრაგა, სასკაკემპა, ტარგუვეკი, პელცოვიზნა. ვარშავა ელის თავის განმათავისუფლებელთ. 13 სექტემბერს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა მგზნებარე მოწოდებით მიმართა დამპყრობლების მიერ ნაწამები ქალაქის მცხოვრებთ, ქალაქისა, რომლის გმირი მოსახლეობაც სოსნკოვსკისა და კომპანიის რეაქციული ხროვის მიერ წამოწყებული დანაშაულებრივი ავანტიურის მსხვერპლი გახდა. „გაზეტა ლიუბელსკას“ მოჰყავს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მოწოდება, რომელშიც ნათქვამია:

„მოახლოებულია ვარშავის განთავისუფლების ჟამი. ახლოვდება თქვენი ტანჯვა-წამების დასასრული. ძვირად დაუჯდებათ გერმანელებს დაღვრილი სისხლი, ვარშავის ნანგრევები“.

* * *

ამ ისტორიულ მომენტში, როცა პოლონელი ხალხი პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ხელმძღვანელობით გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელ დამპყრობთა საბოლოოდ განდევნისათვის, როცა საჭიროა მაქსიმალური დარაზმვა მთელი ნაციონალური ძალებისა გამარჯვების მოსაპოვებლად, სოსნკოვსკის რეაქციული ხროვის აგენტებმა გააძლიერეს ძირგამომთხრელი, პროვოკატორული მუშაობა.

სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „კმარა!“ „რჟეჩ პოსპოლიტა“ სწერს:

„...ჯერ კიდევ თავისუფლად დასეირნობენ ის ადამიანები, რომლებიც ოკუპაციის დროს თანამშრომლობდნენ ოკუპანტთან, „ფოლკსდოიჩე“ და გამცემლები, რომლებმაც სიმდიდრე შეიძინეს ძმათა სისხლით. მაშინ, როდესაც ჩვენი ჯარისკაცი გმირულად ეხმარება მოკავშირე არმიას ვარშავისათვის ბრძოლაში, ეს არამზადები განხეთქილება შეაქვთ საზოგადოებრიობაში, საზიზღარ ჭორებსა და ცილისწამებებს ავრცელებენ, ცდილობენ მოშალონ ჩვენი ცხოვრება.

პოლონეთის მიწა-წყალზე თავისუფლად დასეირნობენ ჯალათები და მკვლელები, რომლებიც ოკუპაციის დროს ვარშავაში ხოცავდნენ უდანაშაულო ადამიანებს, ამჟამად კი ქურდულად ესვრიან პოლონელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, გლეხთა მოღვაწეებს, ადგენენ პროსკრიფციულ სიებს.

მაიდანეკსა და ტრებლინკში წამებულთა, გესტაპოს მიერ დახვრეტილთა და ჩამოხრჩობილთა სისხლი, პრაგის ქუჩებში, ვარშავის მისადგომებზე და ვარშავაში დაღვრილი სისხლი პოლონელი ჯარისკაცებისა ღაღადებს: კმარა! დემოკრატია სისუსტე კი არ არის, არამედ ძალაა. დემოკრატიამ არ იცის დანდობა ფაშისტების, ძმათა მკვლელებისა და პროვოკატორების მიმართ. ისინი დაუსჯელად ვერ ისეირნებენ პოლონეთის მიწა-წყალზე. ამას მოითხოვს ხმა ჩვენი საზოგადოებრიობისა, რომელსაც სურს ნაციონალური ერთიანობა და სუვერენული სახელმწიფო, სადაც არ იქნება მეხუთე კოლონები, სურს ჩვენი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მშვიდობიანი აღდგენა“.

რეაქციული ემიგრანტული ხროვის გაკოტრებული ავანტიურისტები ვერ მოახერხებენ ხელი შეუშალონ პოლონელ ხალხს იმაში, რომ ბოლომდე მიიყვანოს გერმანელთა უღლისაგან თავისი განთავისუფლების საქმე და ააგოს ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფო.

„პრავდა“, 1944 წ. 28 სექტემბერი.

# დეპეშები

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი,** 1 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია:

კალე დაკავებულია. 30 სექტემბერს შუადღისას გარნიზონის მეთაური ტყვედ ჩავიგდეთ. 1 ოქტომბერს დილაადრიან კაპიტულაცია მოახდინეს ქალაქის დამცველმა ძირითადმა ძალებმა. გრძელდება წინააღმდეგობის დაქსაქსული კერების ლიკვიდაცია. წინსვლა ტერნგაუტის ჩრდილო-დასავლეთით წარმატებით გრძელდება. ფრონტის ყველა უბანზე ჰოლანდიაში 30 სექტემბერს განუწყვეტელი ბრძოლები სწარმოებდა. ვითარება საერთოდ არ შეცვლილა. მტრის კონტრიერიშები მოკავშირეთა ჯარების შეჰრის დასავლეთით გრძელდება. ნოიმეგენის ჩრდილო-აღმოსავლეთით გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა.

სამხრეთ ჰოლანდიასა და ბელგიაში გერმანიის საზღვრის რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ რეტგენის სამხრეთ-აღმოსავლეთით და პრიუმის სამხრეთ-დასავლეთით. ნანსის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჟალოკურის რაიონში მოგერიებულია მტრის რამდენიმე მცირე კონტრიერიში. ეპინალის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა, რომელნიც მტრის მხოლოდ სუსტ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ, ქალაქ რამბერვილერს მიაღწიეს.

ბელფორის ჩრდილო-დასავლეთით მოგერიებულია მთელი რიგი გააფთრებული კონტრიერიშები. მოკავშირეთა ჯარებმა პოზიციები გაიუმჯობესეს.

მოკავშირეთა ავიაცია გააფთრებით ურტყამდა მოწინააღმდეგის ობიექტებს დასავლეთ გერმანიასა და ჩრდილოეთ ჰოლანდიაში.

**ლონდონი,** 1 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მე-5 არმიის ამერიკელთა და ინგლისელთა ნაწილებმა რამდენადმე წაიწიეს წინ ფრონტის ცენტრალურ უბანზე. მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ახალი ძლიერი კონტრიერიში მონტე ბატალიის მაღლობთან.

ადრიატიკის სანაპიროზე ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქალაქი სავინიანო.

მოკავშირეთა ავიაცია წარმატებით ესხმოდა თავს ხიდებს ვენეციისა და მილანის რაიონებში და ურტყამდა მტრის კომუნიკაციებს ბრძოლების რაიონში.

**ლონდონი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ჰოლანდიაში მოკავშირეთა ჯარებმა გაამაგრეს თავისი პოზიციები სოლად შეჰრის რაიონში, წინ წაიწიეს ოსის ჩრდილოეთით და მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს მდინარე მაასის ნაპირები. ნოიმეგენის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოგერიებულია მტრის ჯავშანსატანკო ძალებისა და ქვეითი ჯარის იერიშები. მოკავშირეთა ჯარებმა კვლავ წაიწიეს წინ ტერნჰაუტის დასავლეთით.

ავიაგამანადგურებლები და გამანადგურებელი ბომბდამშენები თავს ესხმოდნენ მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებს, ქვემეხებსა და კომუნიკაციებს და ეხმარებოდნენ მოკავშირეთა ჯარების სახმელეთო ოპერაციებს ჰოლანდიაში.

ნანსის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს გრემესეს ტყეში და დაიკავეს მაღლობები ფრენ-ან-სონუას და კუტიურის გარშემო. მოგერიებულია მოწინააღმდეგის ძლიერი კონტრიერიში ჟალოკურის მახლობლად. ეპინალის რაიონში, მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, მოკავშირეთა ჯარებმა ადგილობრივი მნიშვნელობის წარმატებები მოიპოვეს.

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სენ-ჟან-დიუ-მარში. დამთავრებულია კალეს გაწმენდის ოპერაციები.

**ლონდონი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში ფრონტის ცენტრალურ სექტორში მე-5 არმიის ამერიკელთა და ინგლისელთა ნაწილები, რომლებიც მდინარე პოს ხეობაში მიიწევენ, მტრის მეტად შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდებიან. მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს რამდენიმე უბანზე. ადრიატიკის სექტორში მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ დაახლოებით ათასი თვითმფრინავგაფრენა მოახდინა.

## არგენტინის მთავრობის განცხადება

**ნიუ-იორკი,** 30 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ არგენტინის ელჩმა ლონდონში კარკანომ ინგლისის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ არგენტინა თავშესაფარს არ მისცემს ომის დამნაშავეებს.

„არგენტინის საელჩო,—ნათქვამია ნოტაში,—ინგლისის მთავრობის ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ არგენტინის მთავრობა კვლავ იმეორებს წინათ გაკეთებულ განცხადებებს, რომ არგენტინამ უკვე გამოაქვეყნა ცნობა თავისი პოზიციის შესახებ შემდეგი სახით: „არგენტინაში ვერავითარ გარემოებაში ადგილს ვერ იპოვის ის, ვისაც ბრალი მიუძღვის სამხედრო დანაშაულობათა ჩადენაში. მათ აგრეთვე ნება არ მიეცემათ შეიტანონ სახსრები ან შეიძინონ საკუთრება არგენტინაში რაიმე სახით“.

## პეტენი და სხვა ჰიტლერელი აგენტები გერმანიაში გაიქცნენ

**ჟენევა,** 1 ოქტომბერი. (საკდესი). ჰიტლერულმა სააგენტომ—გერმანიის საინფორმაციო ბიურომ დღეს ცნობა გამოაქვეყნა, რომ პეტენი სხვა ჰიტლერელ აგენტთა ჯგუფის — დეას, დარნანის, გენერალ ბრიდუს, ლუშერისა და სხვათა—თანხლებით გერმანიაში გაიქცა. გერმანიაში თავშეფარებულმა ფრანგმა კვისლინგებმა, როგორც ამას ჰიტლერული სააგენტო იუწყება, „საფრანგეთის კომიტეტად“ გამოაცხადეს თავი. ამ „კომიტეტის“ თავმჯდომარედ, პეტენის „დავალებით“, დადგა ცნობილი ჰიტლერელი აგენტი საფრანგეთში დებრინონი.

## ფინური გაზეთი ენერგიული ზომების მიღებას მოითხოვს გერმანელების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ფინეთში

**სტოკჰოლმი,** 1 ოქტომბერი. (საკდესი). ფინური გაზეთები კვლავ აქვეყნებენ ცნობებს გერმანელთა მხეცობის შესახებ ჩრდილოეთ ფინეთში. გაზეთი „ლიიტო“ სწერს: „ჩრდილოეთ ფინეთში წარმოებული ნგრევით ნაცისტურმა გერმანიამ დაგვანახვა თავისი სახე. ნაცისტები ანგარიშს არ უწევდნენ და არც გაუწევენ ფინეთის ინტერესებს. ჩრდილოეთ ფინეთის მოსახლეობა მოელის, რომ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა უაღრესად ენერგიულ ზომებს მიიღებს, რათა შესწყვიტოს გერმანელების მავნებლური საქმიანობა. ჩვენმა გამოცდილებამ უკვე დიდი ხანია დაგვანახვა, რომ დაყოვნებით ვერაფერს მოვიგებთ. ბარბაროსებისა და ავაზაკების ალაგმვა მხოლოდ ძალით შეიძლება. მოსახლეობას უფლება აქვს მოელოდეს, რომ ჩვენი ხელისუფალნი შეეცდებიან გადაარჩინონ თუნდაც ის, რაც ჯერ კიდევ დარჩა. და ხელისუფლებმა დაუყოვნებლივ უნდა გააკეთონ ეს“.

## მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები გერმანიაზე

**ლონდონი,** 1 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა ფრიად დიდი შენაერთები თავს დაესხნენ დასავლეთ გერმანიის რკინიგზის კვანძებს.

ინგლისის თვითმფრინავთა მძლავრი შენაერთები გუშინ ღამით თავს დაესხნენ სინთეზური საწვავის ქარხნებს რურის ოლქში.

## გერმანელების მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ქალაქებისათვის არტილერიის დაშენის შედეგები

**ლონდონი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ გერმანიის არტილერიამ, რომელიც ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს უშენდა პადე-კალეს მხრიდან, 4 წლის განმავლობაში 2.565 ყუმბარა გაისროლა. ყველა ქალაქზე უფრო დაზარალდა დუვრი, რომელსაც 2 ათასზე მეტი ყუმბარა მოხვდა. დაზარალდნენ აგრეთვე ქალაქები ფოლკსტონი, დილი და რამსგეიტი. სულ არტილერიის დაშენის 4 წლის განმავლობაში ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოკლულ იქნა 157 კაცი.

## ინგლისის ავიაციის თავდასხმები გერმანიაზე

**ლონდონი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 1 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ობიექტებს ბრაუნშვაიგსა და გერმანიის სხვა რაიონებში. ყველა თვითმფრინავი ბაზებში დაბრუნდა.

## რუმინელ დიპლომატთა გამოწვევა უცხოეთიდან

**ბუქარესტი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ტიმპულმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ გამოწვეული არიან რუმინეთის დესპანი ბერლინში პელი, დესპანი სტოკჰოლმში ნანუ, დესპანი მადრიდში დუმიტრესკუ და მთელი რიგი თანამშრომლები რუმინეთის დიპლომატიური მისიებისა მადრიდსა და სტოკჰოლმში.

## უცხოეთის ქრონიკა

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წარმოების საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარე ნელსონი გადადგა. მის ადგილას დაინიშნა სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე კრუგი. თავის წერილში რუზველტისადმი ნელსონი სწერს, რომ დიდი ხანია აპირებდა გადადგომას, მაგრამ რამდენადმე გადასდო ეს, რათა დაეზუსტებინა სამმართველოს გეზი ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის მშვიდობიანი დროის წარმოებაზე გადასვლისას.

* * *

ამას წინათ მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებმა ტორპედო ესროლეს ამერიკის ტანკერს კარაიბის ზღვაში. მაგრამ ტანკერმა ნავსადგურს მიაღწია. მსხვერპლი არ ყოფილა. სექტემბრის დამდეგს მტრის წყალქვეშა ნავი ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტის სანაპიროს მახლობლად თავს დაესხა ამერიკის სავაჭრო გემს.

* * *

შვეიცარიამ აკრძალა სამხედრო მასალის ექსპორტი ყველა მეომარ სახელმწიფოში.

მექსიკის დედაქალაქში რამდენიმე საათის განმავლობაში გრიგალი მძვინვარებდა. ქალაქ მექსიკოს ზოგიერთი რაიონი წყლით არის დაფარული. ტრანსპორტი და სატელეფონო კავშირი დარღვეულია. არის მსხვერპლი.

* * *

20 ნოემბრიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყება სამხედრო სესხის გავრცელების მე-6 კამპანია. კამპანიის მიზანია სესხის 14 მილიარდი დოლარის ობლიგაციების რეალიზაცია.

* * *

გერმანელებისა და მუსოლინის ხროვის თარეშის შედეგად, ამჟამად არსებული ცნობებით, იტალიის სახელმწიფო ვალი 653 მილიარდ ლირას შეადგენს.

* * *

1944 წლის შუახანს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ფლოტს ჰყავდა 35 მილიონი ტონა საერთო წყალწყვის 3.400 გემი—23.150.000 ტონა წყალწყვის 2.060 გემით მეტი, ვიდრე 1941 წელს. (საკდესი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან 1940-41 წლების გათხრების ჩატარებამდე.

## ბაგრატის ტაძრის ნანგრევები

ბაგრატის ტაძარი აშენებულია ქუთაისში უქიმერიონის მთაზე. მისი მშენებლობა დამთავრდა 1003 წელს, ხოლო დანგრეულ იქნა 1691 წელს თურქებთან ბრძოლის დროს.

ბაგრატის ტაძარში ხორცშესხმული იყო ამ პერიოდის ქრისტიანულ აღმოსავლური კულტურის მიღწევები. მნახველს ხიბლავდა არქიტექტურა ქართული ჩუქურთმებით, დიდებული მხატვრობა, მოზაიკა, აურაცხელი ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტი. აქ აღმოაჩინეს ქვა, რომელზედაც ამოჭრილია მოგზაური არაბი პოეტის მიერ ლექსად გამოთქმული ქება-დიდება ტაძრისა და მისი ამშენებლებისა. რუსეთის ელჩი ტოლოჩანოვი, რომელიც ქუთაისში ჩამოვიდა 1650 წელს, ე. ი. ტაძრის დანგრევამდე 41 წლით ადრე, თავის თხზულებაში ხოტბას ასხამს ამ ძეგლს.

როგორც ცნობილია, ქრისტიანულ ეკლესიას სამზე მეტი შესავალი არა აქვს. ბაგრატის ტაძარს კი 5 კარი ჰქონდა. სხვა ტაძრებისაგან მას განასხვავებს მდიდრული გაფორმება როგორც შიგნიდან, ისე გარედან. საგულისხმოა, რომ მისი იატაკი ფერადი მოზაიკისაა.

ბაგრატის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი სრული ძეგლია. ამ უზარმაზარ შენობაში ორ ერთნაირ ჩუქურთმას ვერ ნახავთ.

ტაძარს სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა. ამის დამადასტურებელია ის, რომ ტაძარს ორი სარკმელი სპეციალურად გაკეთებული ჰქონდა ისრის სასროლად. განძეულობის სამალავი მოწყობილი იყო სახურავში.

1940-1941 წლებში ჩატარდა ტაძრის ტერიტორიის გათხრა, რომელსაც პროფესორები გ. ჩუბინაშვილი და სევეროვი ხელმძღვანელობდნენ. ტაძარი განთავისუფლდა ორნახევარი საუკუნის განმავლობაში დაგროვებული ნაყარისაგან. გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ტაძრის მრავალი ნატეხი, რამაც საშუალება მისცა სპეციალისტებს აღედგინათ ტაძრის სახე ნახაზებში. აღმოჩნდა აგრეთვე ძვირფასი ჩუქურთმები, წარწერები, სვეტები, კრამიტისა და ქვის სახურავის დიდძალი მასალა. ყველაფერი ეს ადასტურებს იმას, რომ მშენებლობა და საშენი მასალების დამზადება იმ პერიოდში საქართველოში უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. ნაპოვნია მრავალი ჭური და ნაწილი კედლებისა.

ძველ დროს ტაძრების უშუალო მშენებლები თავიანთ გვარებსა და სახელებს აწერდნენ კედლებს, აქაც, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში, დასავლეთის კარიბჭეზე აღმოჩენილია ქვა, რომელზედაც აწერია ზაქარბერ თურმანიძე. სპეციალისტების აზრით, იგი პირველი ხუროთმოძღვარია, ამ ტაძრის პირველი მშენებელი. მეორე წარწერა — ოქროპირი და მათე აღმოჩენილია კედლებზე. ისინი უნდა იყვნენ ტაძრის მშენებლობის ოსტატები. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მრავალი საინტერესო ჩუქურთმა, რომლებიც წინათ არ იყო ცნობილი. ამჟამად მიმდინარეობს მათი შესწავლა.

ახლა უკვე საბოლოოდ გამორკვეულია, რომ უქიმერიონის მთაზე გათხრები არ შეიძლება განისაზღვროს მარტო ტაძრის ტერიტორიით. ბაგრატის ტაძარი უნდა იყოს გამოსავალი წერტილი შემდეგი გათხრებისა. ეს გათხრები გამოავლენს უძველესი ქუთაისის კულტურის მრავალ ნაშთს, დაწყებული ქვისა და ბრინჯაოს ხანიდან.

ტ. ციგაძე

## სასამართლო

## საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები

**ხობი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელ ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. კიზირიამ და საწყობის გამგე ჰ. კვირკველიამ საკოლმეურნეო პროდუქტების დატაცება-განიავებას მიჰყვეს ხელი. თავმჯდომარე განკარგულებას იძლეოდა საწყობიდან მარცვლეულის გაცემაზე, ხოლო საწყობის გამგე გაცემულ მარცვლეულზე ხელმოწერას არავის სთხოვდა. ეს იმიტომ რომ აებნიათ ანგარიშწარმოება და ამრიგად დაეფარათ 133 ცენტნერი სიმინდის მითვისება. გარდა ამისა, შარშან მათ გაანიავეს თესლი, რის გამოც კოლმეურნეობას 41 ჰექტარი მიწა დაუთესავი დარჩა.

კიზირიამ კოლმეურნეობის კანტორა გაჰყიდა 50 ათას მანეთად და საფასურის ანგარიშში მიღებული 25 ფუთი სიმინდი არადანიშნულებისამებრ დახარჯა. მანვე სიმინდით იყიდა ცხენი. საქმეში კი ჩააკერა ხელწერილი, თითქოს მან ცხენში 10.000 მანეთი გადაიხადა.

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. ნ. შენგელიას თავმჯდომარეობით ხობში გაარჩია აღნიშნულ დამნაშავეთა საქმე.

სასამართლომ პ. კიზირიას და ჰ. კვირკველიას მიუსაჯა ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა პირადი ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა ხუთ-ხუთი წლით. მათვე დაევალათ კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალის — 404.500 მანეთის ანაზღაურება.

კატო ყორშიას, რომელიც მონაწილეობას იღებდა საკოლმეურნეო ქონების განიავებაში, მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა პირადი ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების აყრა. მასვე დაეკისრა კოლმეურნეობის სასარგებლოდ 24 ათასი მანეთის ზარალის ანაზღაურება. საკოლმეურნეო ქონების განიავებისათვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა აგრეთვე ი. გერგაიას.

გრ. ნანეიშვილი

## საბავშვო წიგნები

გამოვიდა საბლიტგამის მიერ გამოცემული სამი საბავშვო წიგნი:

ი. გოგებაშვილის „ვანო და ფრინველები“. ს. მაისაშვილის ილუსტრაციებით. წიგნის რედაქტორია ე. ასტვაცატუროვი.

დ. თომაშვილის საბავშვო პოემა „შავი ცხვარი“, რედაქტორი დ. შენგელაია, მხატვარი ს. გაბაშვილი.

ქ. ლორთქიფანიძის, მ. ჭავჭანიძის და ე. ქარგარეთელის „ჩვენ ვზეიმობთ“. წიგნის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ლ. გილჩევსკაიას, რედაქტორია მ. ბურჯულაძე.

## თეატრებში

**3 ოქტომბერს:** რუსთაველის სახელობის—„საპატარძლო აფიშით“. მარჯანიშვილის სახელობის—„ქამთაბერის ასული“. გრიბოედოვის სახელობის—„უკანასკნელი მსხვერპლი“. სომხური—„შემოსავლიანი ადგილი“. ახუნდოვის სახელობის—„არშინ მალ-ალან“. მუსკომედიის—„ოქროს გასაღები“. მოზარდი მაყურებლის—ქართული „წითელქუდა“, რუსული—„კუზიანი კვიცი“.

## კინოებში

**3 ოქტომბერს:** რუსთაველის სახელობისა და ოქტომბერი—„ვოლგა-ვოლგა“. დამკვრელი—„მე შავზღველი ვარ“. კომკავშირელი — „მზიური ველის სერენადა“. სპარტაკი — „ჩაპაევი“. ლუქსემბურგის სახელობის—„ოქროს მთები“. 26 კომისრის სახელობის — „მეკარე“.

## „ნიანგი“ № 31—32

სატირულ-იუმორისტული ჟურნალის „ნიანგის“ გადასახალისებლად, მის მუშაობაში მოწინავე მწერლებისა და მხატვრების ჩასაბმელად დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი. შეიქმნა ახალი სარედაქციო კოლეგია. კოლეგიაში შედიან: იოსებ გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, სიკო ფაშალიშვილი და გრიგოლ აბაშიძე.

ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორია გრ. აბაშიძე.

„ნიანგის“ № 31-32-ში მონაწილეობენ მწერლები: შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, ს. კლდიაშვილი, ს. ფაშალიშვილი, გ. ნატროშვილი, გრ. ცეცხლაძე და სხვ. მხატვრები: ს. ნადარეიშვილი, დონი, ე. მაყაშვილი და სხვ.

ჟურნალი დაბეჭდილია თეთრ ქაღალდზე, ფერადებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი


## ფულ-ნივთების მესამე ლატარიის ბილეთების ხელისმომწერთა საყურადღებოდ

1945 წლის 1 იანვარს გადის ფულ-ნივთების მესამე ლატარიის ბილეთების მოგებათა გაცემის ვადა.

**ხელისმომწერნო!** შეამოწმეთ თქვენი ლატარიის ბილეთები სატირაჟო ცხრილების მიხედვით! მიიღეთ თქვენი მოგება!

სატირაჟო ცხრილები არის ყველა შემნახველ სალაროში. იმ ხელისმომწერებმა, რომელთაც რაიმე მიზეზით არ მიუღიათ თავიანთი შენატანთა თანხის ლატარიის ბილეთები, ბილეთების მისაღებად პირადად ან ფოსტით უნდა მიმართონ იმ საწარმო-დაწესებულებას, სადაც მათ შეტანილი აქვთ ხელისმოწერის თანხა. წერილში გარკვეულად უნდა უჩვენოთ თქვენი ზუსტი მისამართი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო.

შვილები კოლია, ვანო, გრიშა, რძლები და შვილისშვილები იუწყებიან ხელო ანტონის-ასულ თალაკვაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/X.

მეუღლე მარო, შვილი აბელ, რძალი ვერა, ცოლისძმა გედევან, ბიძა ქრისტეფორე ცოლ-შვილით იუწყებიან დიანოზ იოსების-ძე ფარეიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 3/X, 4 ს. აზმაგის, 6.

საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამეცნიერო-საკვლევო სანიტარული ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ თ. კაკილაშვილის შვილის გიორგის გარდაცვალებას. გამოსვენება 3/X, 5 ½ ს. შემახის, 21.

დედა დესპინე, ცოლი იულია, შვილები დევი, მურთაზი, ძმა ბაგრატ, რძალი ქსენია, სიძე ა. ეხვაია იუწყებიან ვარლამ სამსონის-ძე გვილიას გარდაცვალებას.

**დაკარგულია** ა.-კ. რკინიგზის გზათა მშენებლობის სამონტაჟო-საამშენებლო დისტანციის ადგილკომის მრგვალი ბეჭედი. ს. გ.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-08, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07901